ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ორშაბათი, 10 თებერვალი, 2020 №33 (8297) ფასი: 60 თეთრი

## ჩინეთიდან ჩამოსულ ქართველ დედასა და მის 2 შვილს ვირუსი არ აღმოაჩნდათ



გვ.2

# „ოქრუაშვილის ციხეში გამოკეტვა 20 აგვისტომდე უნდათ“



## გურამ ჩალაგაშვილი: „ამერიკის ელჩი ხელისუფლების პასუხს 1 თვე დაელოდება“



ირაკლი ოქრუაშვილი ივანიშვილის პირადი ტყვეა. არა მარტო ოქრუაშვილი, ასევე გიორგი რურუა, ასევე თამლიანი, რომელიც ვაჟკაცი ადამიანია და რომელზეც დღემდე მიდის ზეწოლა, რომ როგორმე იქნებ მან დაადოს ხელი ირაკლი ოქრუაშვილს ან ნიკა მელიას. განსაკუთრებით ოქრუაშვილზე ამუშავებენ, რომ თითქოს ირაკლი ოქრუაშვილი პარლამენტში შეჭრას აპირებდა და ამის სანაცვლოდ ჰპირდებიან თავისუფლებას, თუმცა ეს ვაჟკაცი კაცი ვერ გატეხეს და ამაზე არ თანხმდება

## „სააკაშვილი ოპოზიციის დიდ ნაწილს თავის მხარეზე გადაიყვანს“

გვ.2



ლადო სადღობელაშვილი: „მიშა ფიქრობს, რატომ უნდა დაუთმოს თავისი სიძლიერე ბოკერიას, რომელმაც პირველივე მამლის ყივილზე გაყიდა“

გვ.4



## კახა კოჟორიძე: „ივანიშვილი ხაზარაძისა და ჯაფარიძის დაპატიმრებას აპირებს“

ამ სისტემაში, რომელიც ბიძინა ივანიშვილმა შექმნა, ბოტასების ქურდს აქვს შესაძლებლობა, ქვეყნის მთავარი პროკურორი გახდეს, ასევე, შესაძლებლობა აქვს ადამიანს, რომელსაც შეიძლება, დიპლომი არ ჰქონდეს, უზენაესი სასამართლოს მოსამართლე გახდეს



## თაკო ჩარკვიანი: „საქართველოს დასაკარგი მიხეილ სააკაშვილი არ ჰყავს“

„დარწმუნებული ნუ იქნებით, რომ ბურჯანაძე ივანიშვილთან არ არის. ამას ფინალში გავიგებთ“

გვ.3

ISSN 1987-9385

5 ვახტანგ მაისაია: „საქართველოს მიმართ ტრამპს ინტერესი გააჩნია“

6 ტაილანდელი ჯარისკაცი, რომელმაც 26 ადამიანი მოკლა, ლიკვიდირებულია

4 გადმოილებენ თუ არა მოლდოვის ახალ სამშვიდობო ინიციატივას საქართველოს კონფლიქტების მოსაგვარებლად?

6 იგორ სტრელკოვი: „რუსეთს ყირიმის დაბრუნება მოუწევს“

# „სააკაშვილი ოპოზიციის დიდ ნაწილს თავის მხარეზე გადაიყვანს“

## ლადო სადღობელაშვილი: „მიშა ფიქრობს, რატომ უნდა დაუთმოს თავისი სიძლიერე ბოკერიას, რომელმაც პირველივე მამლის ყივილზე გაყიდა“

ნონა ცაბაძე

**ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების შესახებ „ახალი თაობის“ კითხვებს ლადო სადღობელაშვილი პასუხობს.**



***– ლადო, მიხეილ სააკაშვილის განცხადებამ დიდი დაბნეულობა გამოიწვია ოპოზიციის შიგნით. ყოფილი პრეზიდენტი აცხადებს, რომ 1 მარტიდან საარჩევნო შტაბს ხსნის. რა ხდება, ემიჯნება დანარჩენ ოპოზიციას თუ სერიოზულ კონკურენტს ხედავს ბოკერიაში? როგორ გაიგეთ მისი განცხადება?***

– ამდენი წელია, სააკაშვილი საქართველოში არ იმყოფება. ის რაღაც მითიურ გმირად ევლინება თავის თანაპარტიელებს. გამოანათებს ტელეეკრანებზე ან ჩაწერს რაღაც ლაივ-ვიდეოს და ამის მერე იწყება მითქმა-მოთქმა, იმედები, აი, მე ჩამოვალ, გადმოვფრინდები, გადმოვცურავ, გვირაბს გავთხრი და ასე შემდეგ.

ამ წლების განმავლობაში ზოგი წავიდა, ზოგი მოვიდა, ვიღაცა გაძლიერდა, ამ ვიღაცამ მიიყვანა თავისიანები და გააძლიერა თავისი ფლანგი პარტიაში.

***– სააკაშვილი ფიქრობს, რომ სადავეებს კარგავს?***

– აქ მარტო შიდაპარტიულ სადავეობაზე აღარ არის საქმე. ეს უკვე მეორე ფლანგზეა გადასული. ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში ჩვენ ვაკვირდებით ძალიან საინტერესო პროცესს – ბოკერიას ირგვლივ ერთიანდება ძალიან ბევრი პარტია.

ბოკერიამ ისიც კი არ იუკადრისა, რომ პრორუსულად ორიენტირებული პარტიები დაეყენებინა გვერდით. ნაციონალური მოძრაობა წლების განმავლობაში აღიქმებოდა მთავარ ოპოზიციურ პარტიად და მას ახლა ეს ხელიდან ეცლება. მის ადგილს იკავებს ბოკერია.

სწორედ ამაზეა ორიენტირებული სააკაშვილი, რომ პარტიები, რომლებიც სხედან შალვა ნათელაშვილის ოფისში და ბჭობენ საარჩევნო გარემოზე, რამენაირად დაიქვემდებაროს.

***– ანუ ხედავს, რომ მათზე გავლენა არა აქვს?***

– დიახ, ზუსტად ასეა საქმე. მას გავლენა აქვს დაკარგული. რადგან ბოკერიას გარშემო ერთიანდებიან ეს პარტიები და ბოკერიაა მათ შორის ლიდერი, რადგან ყველაზე ძლიერი პარტია მისია. ზუსტად ეს არ მოსწონს სააკაშვილს, რომ არის იმის ალბათობა, 2020-ის არჩევნებზე სწორედ ბოკერიამ ჩაანაცვლოს ნაციონალური მოძრაობა და ამოაგდოს იმ მთავარი ოპოზიციური ძალის სტატუსიდან.

ამიტომ სააკაშვილმა ძალიან ჭკვიანურად გააკეთა ყველაფერი.

***– ის, რასაც სააკაშვილი აკეთებს, გამოიწვევს ოპოზიციის რღვევას?***

– რა თქმა უნდა, ამაში ორი აზრი არ არსებობს, თუმცა, ვერც იმას ვიტყვით, რომ დღეს ოპოზიცია ერთიანია.

***– თუმცა ფასადი ასეთია, რომ ის კონკრეტული საკითხის ირგვლივ გაერთიანდა.***

– კი, ასეა. თუმცა რა უნდა შემოგვთავაზოს სააკაშვილმა? როცა ბოკერია და დანარჩენი ოპოზიცია, ასე თუ ისე, ხელისუფლების კანონის ფარგლებში მოთოკვას ცდილობენ, სააკაშვილმა რა უნდა შესთავაზოს მათ? სააკაშვილმა უნდა შესთავაზოს რაღაც რევოლუციური გზა.

ამ გაერთიანებულ ოპოზიციაში ბევრი სააკაშვილის მხარეს გადავა. ჩატოვებული არიან იქ პატარ-პატარა პარტიები, რომლებიც გაემიჯნებიან ბოკერიას, მით უმეტეს, რომ ახლა გაჩნდა ასეთი მესიჯი ხელისუფლებისგან, რომ ჩვენი საბოლოო შემოთავაზება ასეთია – 100/50-ზე.

ამ შეთავაზებაზე ბოკერია, ბურჯანაძე და უსუფაშვილი აცხადებდნენ, ამ პირობაზე არ ვართ თანახმაო. სააკაშვილმა ძალიან კარგად წაიკითხა ხელისუფლების ეს მესიჯი და დაიწყო დამოუკიდებელი ვაჭრული თამაში ხელისუფლებასთან იმისთვის, რომ მისმა პარტიამ, მისმა კონკრეტულმა გუნდმა არ დაკარგოს აქტუალურობა.

სადღაც შეიძლება ჩამოყალიბდეს გუნდი და თანხმობა განაცხადოს ხელისუფლების იმ შემოთავაზებაზე – 100/50-ზე.

***– შესაძლოა, რომ სულაც მიშამ ითამაშოს ბიძინას თამაში?***

– შესაძლოა?! აქ კითხვის ნიშანს რატომ სვამთ, ვერ ვხვდები! მე აქ პირდაპირ ძახილის ნიშანს ვსვამ და ვამბობ, რომ სააკაშვილი, 2013 წლის არჩევნებიდან მოყოლებული, თამაშობს „ქართული ოცნების“, უფრო სწორად, ბიძინა ივანიშვილის თამაშს. ყოველი მისი გამოჩენა წინასაარჩევნოდ, მისი მესიჯები, რომ ჩვენ დავბრუნდებით, ჩვენ ასე ვიზამთ, აძლიერებს „ქართულ ოცნებას“!

ამ თამაშს თავის დროზე ჩამოსცილდა ბატონი ბოკერია. მან შემოიერთა ეს გუნდი და თითქოს უგულებელყო სააკაშვილი, სულ არ მაინტერესებს მიშა, აქ მე ვარ პირადადო. ბოკერიამ სააკაშვილის ოდიოზურობა „ქართულ ოცნებასა“ და მის რეიტინგებს მოაშორა.

და ახლა რა ხდება?! სააკაშვილი ისევ ბრუნდება და ცდილობს, ისევ დაატრიალოს ოპოზიცია თავის ფირფიტაზე, რომ კვლავ ის იყოს პირველი, მან აწარმოოს ბიძინა ივანიშვილის შიკრიკებთან ფარული შეხვედრები. მე დარწმუნებული ვარ, რომ ასე ხდებოდა და ხდება დღემდე.

სააკაშვილი ოპოზიციის მოტრიალებას შეეცდება.

***– მოატრიალებს?***

– შესაძლოა, მთლიანად ვერ მოატრიალოს, მაგრამ დიდ წილს მოატრიალებს თავისკენ. ბოკერია რომ იყოს ლიდერი, ასე ვერ იქნება. ეს ვერ გადახარშა სააკაშვილმა. ის შემოიკრებს დიდ ნაწილს ოპოზიციისას და დაიწყებს ვაჭრობას ხელისუფლებასთან – ან იყოს ასე, ან მე წავალ რევოლუციური გზით.

აი, ეს არის საქმე.

რა თქმა უნდა, ხელისუფლება ბოკერიას დაკრულზე არ გაივლის და მოუწევს მას ისევ სააკაშვილთან შეკვრა, რადგან ხელისუფლებას ურჩევნია, 50/100-ზე იყოს და შეინარჩუნოს უმრავლესობა პარლამენტში, ვიდრე გაიაროს ბოკერიას დაკრულზე, სადაც პროპორციულ არჩევნებსა და გერმანულ მოდელზეა საუბარი და, შესაბამისად, დაკარგოს სადავეები.

***– ბოკერია სერიოზულად არ უყურებს სააკაშვილის განცხადებებს, საერთოდ არ ვიცი, რა შტაბზეა საუბარი, სააკაშვილის საქმეა, რაც უნდა, ის ქნას, პარტიებს შორის შეთანხმება ლეიბორისტების ოფისში ხდებაო. არ ელოდა ამას ბოკერია?***

– ბოკერიასთვის ეს ყველაფერი დიდი შოკია. დღეს სააკაშვილი აშანტაჟებს ოპოზიციას, რომ გამოაცლის ფრთას, რომელიც ოპოზიციისთვის ძლიერი დასაყრდენია და ისე დატოვებს. მთლიანი ოპოზიციის შანტაჟზე მიდის, მე თქვენ დაგირღვევთ ამ ერთობასო, ანუ ან მე, ან ბოკერია, აი, ამას ამბობს მიშა. ბოკერიამ ეს ყველაფერი მარტო სააკაშვილის გამო კი არ დაიწყო, ბოკერიას კიდევ სხვა საფრთხე აქვს.

***– რა საფრთხე?***

– მისი საფრთხეა „ლელო“, რომელიც ხელისუფლებასთან ძალიან კარგ ურთიერთობაშია. ბოკერიას ადრე თუ ინაშვილი ჰყავდა კონკურენტად, ახლა ორივეს ერთად ყველაზე დიდი კონკურენტი უჩნდება, „ლელო“.

„ლელოს“ აქვს იმის შანსი, რომ ორივე მოაშოროს პარლამენტიდან. ამის შანსები მაღალია. „ლელო“ თვიდან თვემდე ძლიერდება. ის გაერთიანებული ოპოზიციის შიდა გაერთიანებაა.

***– ანუ ბიძინა ივანიშვილმა თავისი თამაში წამოიწყო ოპოზიციის შიგნით?***

– როგორც ჩანს, მას კარგი მრჩეველი ჰყავს. მან ძალიან ჩახლართა სიტუაცია ოპოზიციაში. ამას კი მხოლოდ იმისთვის აკეთებს, რომ თავისი სარგებელი ნახოს. აქ რამე სხვა ღირებულებებზე საუბარი არ არის, მხოლოდ მის პირად სარგებელზე!

გაგრძელება მე-4 გვერდზე

# მკვლელობამდე გრიგოლ მეჯლუმიანს მოკლულმა სცემა

მეზობლის მკვლელობისთვის დაკავებულ 67 წლის გრიგოლ მეჯლუმიანს 8 თებერვალს 2-თვიანი პატიმრობა შეეფარდა. მოცულობით საქმის მასალებში, ბრალდების თქმით, მტკიცებულებები მყარი და უტყუარია, მათ შორის ვიდეომასალა, რომელიც „კურიერმა“ მომხდარიდან მალევე ექსკლუზიურად მოიპოვა და გაასაჯაროვა.




ვიდეოში ჩანს გრიგოლ მეჯლუმიანი, რომელიც მალიკ მალიუდინის მიმართულებით დამიზნებით სამჯერ ისვრის.

– საქმეში მოიპოვება მოწმეთა ჩვენებები, გვაქვს ჩხრეკის ოქმები, დათვალიერების ოქმები. აღნიშნული ინფორმაცია ადასტურებს, რომ ბრალდებულის მიერ ჩადენილია საქართველოს სსკ-ის 108 მუხლით გათვალისწინებული ქმედება, რაც არის განზრახ მკვლელობა, მოწმეთა ჩვენებებით იკვეთება, რომ ეს იყო სამეზობლო დავის შედეგად წარმოშობილი კონფლიქტი, – განაცხადა პროკურორმა გიორგი შაიშმელაშვილმა.

დაკავებული დუმილის უფლებას იყენებს. მან სასამართლო სხდომაზე განაცხადა მხოლოდ ის, რომ გირაოს სანაცვლოდ გათავისუფლების შემთხვევაში ადგილიდან მიმალვას არ აპირებდა.

რადგან ბრალდებული დუმს, უფლებადამცველი საქმეზე დეტალურად ვერ საუბრობს. ამბობს მხოლოდ იმას, რომ გასროლამდე გრიგოლ მეჯლუმიანს გარდაცვლილი ფიზიკურად სასტიკად გაუსწორდა, რაც მოტივსა და ფაქტს არ ცვლის, თუმცა დაცვა ამ მიმართულებით გამოძიების დაწყებას ითხოვს.

– ამ ეტაპზე მე რაიმე შეფასებას ვერ გავაკეთებ, რადგან ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი იყენებს დუმილის უფლებას, მე მას უნდა გავესაუბრო და ჩამოვყალიბდე, მანამდე რაც მოხდა და რაც მიაყენეს ამას, ის რატომ არ გადაიღეს, – განაცხადა ადვოკატმა ლევან ბუაძემ.

რა მოხდა ვიდეოს გადაღებამდე, ეს გამოძიებამ უნდა დაადგინოს, თუმცა მკვლელობის მომენტი ვიდეოკადრებში კარგად ჩანს.

სამოქალაქო დავა, რომელიც სასამართლოში უნდა გაგრძელებულიყო, 2 მეზობელს შორის 1 წლის წინ ყოფით ნიადაგზე დაიწყო.

დოდაშვილის 17 ნომერში, სადაც პაკისტანის მოქალაქემ სახლი ააშენა, მანამდე ძველი შენობა იდგა, რომელიც დაინგრა. სწორედ ეს იყო კონფლიქტის მიზეზი, რადგან სახლსა და მკვლელობაში ბრალდებულის ავტოფარეხს საერთო კედელი ყოფდა. არსებული ინფორმაციით, მეჯლუმიანებმა კედლის შეკეთება ბევრჯერ ითხოვეს, თუმცა უშედეგოდ.

თბილისის მუნიციპალიტეტის ინსპექციაში განმარტავენ, რომ არც ერთ ოჯახს კანონი არ დაურღვევია. შესაბამისად, ეს იყო სამოქალაქო დავა, სადაც გადაწყვეტილება მოსამართლეს უნდა მიეღო.

ახლა 67 წლის მამაკაცს მკვლელობასა და იარაღის უკანონოდ შეძენა-შენახვას ედავებიან, რისი დამტკიცების შემთხვევაშიც მას 7-15 წლამდე პატიმრობა ემუქრება.

# ახალციხეში ძარცვის ბრალდებით ორი არასრულწლოვანი დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს სამცხე-ჯავახეთის პოლიციის დეპარტამენტის ახალციხის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა ორი არასრულწლოვანი – 2004 წელს დაბადებული ლ.წ. და 2003 წელს დაბადებული ლ.ჯ. წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ ჩადენილი ძარცვის ბრალდებით ახალციხის მუნიციპალიტეტში დააკავეს. ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ შინაგან საქმეთა სამინისტროდან აცნობეს.



მათი ინფორმაციით, დანაშაული 4-დან 8 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

„გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულები ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ აწყურში მდებარე სასურსათო მაღაზიაში უკანონოდ შეიჭრნენ, სავაჭრო ობიექტის მეპატრონეს გარკვეული ოდენობის თანხა და პროდუქცია წაართვეს, რის შემდეგაც შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ.

პოლიციამ ორივე არასრულწლოვანი მომხდარიდან მალევე, ცხელ კვალზე დააკავა.

ნივთმტკიცებად ამოღებულია ნაძარცვი პროდუქცია და თანხა“, – ნათქვამია შსს-ს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

გამოძიება საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, ასევე, ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით მიმდინარეობს, რაც არაერთგზის, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ ძარცვას გულისხმობს.

# ჩინეთიდან ჩამოსულ ქართველ დედასა და მის 2 შვილს ვირუსი არ აღმოაჩნდათ

კორონავირუსის საფრთხის გამო ჩინეთიდან ევაკუირებული საქართველოს მოქალაქეები გუშინ, 9 თებერვალს, თბილისში ჩამოფრინდნენ.

დედა და 2 სტუდენტი თბილისის საერთაშორისო აეროპორტიდან სახლში გაუშვეს.



მათ ადგილზე სკრინინგი ჩაუტარეს. პირველადმა კვლევამ ვირუსის ნიშნები არ გამოავლინა.

მოქალაქეებმა საქართველოს დიპლომატიურ მისიას დახმარებისთვის თავად მიმართეს, რადგან რეისების გაუქმების შემდეგ სამშობლოში დაბრუნებას ველარ ახერხებდნენ.

საქართველოს მოქალაქეები აეროპორტშივე შეამოწმა ექიმმა დავით კუჭავამ.

მისი თქმით, ჩინეთიდან ჩამოსულ დედასა და ორ შვილს არანაირი ვირუსული სიმპტომი არ აღმოაჩნდათ.

# გოგონას გატაცებისთვის 2 პირი დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს კახეთის პოლიციის დეპარტამენტის საგარეჯოს რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად მოსამართლის განჩინების საფუძველზე ორი პირი დააკავეს.

არასრულწლოვნისთვის თავისუფლების უკანონო აღკვეთის ბრალდებით დაკავებული არიან 2003 წელს დაბადებული ვ.ქ. და მისი ბიძაშვილი, 2001 წელს დაბადებული რ.ქ.

დანაშაული 7-დან 10 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ვ.ქ.-მ, თანამზრახველ რ.ქ.-სთან ერთად, მიმდინარე წლის 5 თებერვალს, ცოლად მოყვანის მიზნით, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ თულარში მცხოვრებ, 2004 წელს დაბადებულ დ.მ.-ს თავისუფლება უკანონოდ აღუკვეთა.

სამართალდამცველებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შედეგად, გატაცებული გოგონას კვალს მალევე მიაგნეს და იმავე დღეს სახლში უვნებელი დააბრუნეს.

ბრალდებულები კი პოლიციამ 8 თებერვალს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში დააკავა.

გამოძიება არასრულწლოვნისთვის თავისუფლების უკანონო აღკვეთის ფაქტზე საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
სარეკლამო სამსახური – 294-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი: 294-06-91
ვებგვერდი: www. akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „ოქრუაშვილის ციხეში გამოკეტვა 20 აგვისტომდე უნდათ“

## გურამ ჩალაგაშვილი: „ამერიკის ელჩი ხელისუფლების პასუხს 1 თვე დაელოდება“

ნონა ცაბაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს „გამარჯვებული საქართველოს“ წევრი გურამ ჩალაგაშვილი პასუხობს.**

***— ბატონო გურამ, ხელისუფლება ოპოზიციას სთავაზობს ბოლო ვარიანტად 100/50-ზე, რაზეც ოპოზიცია კატეგორიულ უარს აცხადებს. როგორია თქვენი შეფასებები ბოლო პერიოდის პროცესებზე, რა მოლოდინები გაქვთ?***

— დღევანდელი ხელისუფლება რომ აგონიაშია, მე მგონი, ამაზე ყველანი ვთანხმდებით. ამას მოწმობს ის არაადეკვატური განცხადებები, რომლებსაც ისინი აკეთებენ ნებისმიერ საკითხთან მიმართებით. თუნდაც ავიღოთ ყველაზე ოდიოზური გენპროკურორის საქმე, რომელსაც ვითომ კონკურსში მიაღებინეს მონაწილეობა.

***— შოთაძის უკან დაბრუნებას გულისხმობთ?***

— დიახ, ის უკან დააბრუნეს. უბრალოდ, ერთი რამ ავიწყდება ბიძინა ივანიშვილს — ადამიანები, რომლებიც უპრობლემოდ, თანხის ან ხელისუფლებაში ყოფნის სანაცვლოდ მზად არიან, გააკეთონ ნებისმიერი საქმე, ასევე ყურადღებით აკვირდებიან ყოველდღიურ პროცესებს ამ ქვეყანაში. მათ ძალიან კარგი ყნოსვა აქვთ და სხვაზე ადრე ხვდებიან, როდის ახლოვდება ამ ხელისუფლების დასასრული.

ეს ადამიანები ძალიან მალე, დაახლოებით ამ ზაფხულის მიწურულს, აუცილებლად დაინახავენ, რომ ამ ხელისუფლების საქმე არის წასული და ბიძინა ივანიშვილს ზურგს შეაქცევენ.

***— რას გააკეთებენ?***

— ისინი, როგორც გლეხი წიწილას გაიყვანს და გაყიდის ბაზარში, ისე გაყიდიან ბიძინა ივანიშვილს, თვალსაც არ დაახამხამებენ. კალამს ვერ გააგდებინებენ ვერც ერთს ხელიდან, ისე მოყვებიან ყველაფერს, იციან თუ არ იციან, რაც მოხდა.

***— საკუთარი გუნდის წევრები უღალატებენ?***

— რა თქმა უნდა, აუცილებლად ასე იქნება. ეს ხომ არ არის პირველი შემთხვევა. შევარდნაძის დროიდან მოყოლებული, სულ ასე არ ხდება?!

***— შემოთავაზებაა 100/50-ზე. დათანხმდება ამ შეთავაზებას ოპოზიცია?***

— ოპოზიცია ამაზე არ დათანხმდება, გამორიცხულია! ეს არის რაღაც უაზრო წამოროშვა ხელისუფლების მხრიდან. როგორც ივანიშვილს წამოაროშვინეს, ამბოხება მოხდა მაჟორიტარებშიო, რისიც არავის სჯერა, ესეც რიგითი წამოროშვაა. ისინი ფიქრობენ, რომ აიღებენ 28-30%-ს და მაჟორიტარების ხარჯზე ისევ დარჩებიან ხელისუფლებაში. ეს სრულიად წარმოუდგენელია!

***— ხომ არ აღმოჩნდებიან ოპოზიციაში ძალები, რომლებიც გაიზიარებენ ხელისუფლების წინადადებას და დათანხმდებიან ამ შეთავაზებას?***

— ვისაც ამ ქვეყნის მომავალი აინტერესებს, ამას არავინ დასთანხმდება. თუ ვინმე ამას გააკეთებს, ეს იქნება დიდი შეცდომა.

ხელისუფლება თავადვე პასუხობს დასმულ კითხვებს. „ოცნების“ წევრებს არ უნდათ პროპორციული, მათ უნდათ მაჟორიტარული, რომ იქნებ 50 მაჟორიტარი მაინც გაათრიონ ძალით და თან ამ დროს გამოდიან და რაღაცა უაზრო ციფრებს არახუნებენ, მინიმუმ 55-60%-ს ავიღებთო.

60%-ს თუ იღებ, შე მამაცხონებულო, მაშინ რატომღა ალაპარაკებ ან ოპოზიციას, ან ხალხს და ან მთელ მსოფლიოს?! გადადი პირდაპირ პროპორციულ არჩევნებზე და უთხარი ყველას, რომ პროპორციული არჩევნებითაც აიღებ 60%-ს და მაინც მოხვალ ხელისუფლებაში.

ამიტომაც ვამბობ, რომ არაადეკვატურია მათი ნებისმიერი განცხადება, რომლებიც კი ამ ბოლოს გაუკეთებიათ.

***— ირაკლი ოქრუაშვილმა გააკეთა განცხადება, რომ როგორც ასლან აბაშიძემ თენგიზ ასანიძე გამოკეტა ციხეში და მისი პირადი პატიმარი იყო, ისე ვიჯდები მე ციხეში, სანამ ბიძინა ივანიშვილი იქნება ხელისუფლებაშიო.***

— ასანიძე ასლან აბაშიძის პირადი ტყვე იყო და ზუსტად იგივე ხდება ახლაც, ამიტომ შეადარა ოქრუაშვილმა თავი ასანიძეს. სტრასბურის გადაწყვეტილებაც კი იყო გამოტანილი, მაგრამ ასლანმა მაინც არ გამოუშვა ასანიძე.

ზუსტად იგივე ხდება დღესაც. დღეს ივანიშვილი ამბობს, თუკი ვინმესი შეიძლება მეშინოდეს საქართველოში, ეს არის ირაკლი ოქრუაშვილი და ამიტომ ის უნდა იყოს ციხეშიო. ოღონდ რისთვის უნდა იყოს, ეს არავინ იცის.

უკვე მეშვიდე თვე სრულდება და ყველა ვუყურებთ, როგორ მიჰყავთ ყოველ სასამართლო პროცესზე 2-3 პოლიციელი, რომლებიც ამბობენ, რომ ან საერთოდ არ უნახავთ ოქრუაშვილი, ან ამბობენ, რომ დაინახეს, რომ ის იდგა ხალხის მასაში. ჯერჯერობით არავის უთქვამს



და ვერც იტყვის, რომ ირაკლი ოქრუაშვილმა ვინმეს წინააღმდეგობა გაუწია.

***— ის ივანიშვილის პირადი ტყვეა?***

— რა თქმა უნდა, ირაკლი ოქრუაშვილი ივანიშვილის პირადი ტყვეა. არა მარტო ოქრუაშვილი, ასევე გიორგი რურუა, ასევე თამლიანი, რომელიც ვაჟკაცი ადამიანია და რომელზეც დღემდე მიდის ზეწოლა, რომ როგორმე იქნებ მან დაადოს ხელი ირაკლი ოქრუაშვილს ან ნიკა მელიას. განსაკუთრებით ოქრუაშვილზე ამუშავებენ, რომ თითქოს ირაკლი ოქრუაშვილი პარლამენტში შეჭრას აპირებდა და ამის სანაცვლოდ ჰპირდებიან თავისუფლებას, თუმცა ეს ვაჟკაცი კაცი ვერ გატეხეს და ამაზე არ თანხმდება.

***— მოსამართლეს რატომ მოუნდა პროცესის წინ შვებულებაში წასვლა?***

— ყველას კარგად ახსოვს მოსამართლის ქმედება ხაზარაძე-ჯაფარიძის საქმესთან დაკავშირებით, როდესაც თვითაცილება მისცა მოსამართლემ. რაღაც ახალი გამოიგონეს, ამ უაზრო ქცევებით ცდილობენ, რომ რაც შეიძლება დიდხანს გაწელონ საქმე და დიდხანს დატოვონ ოქრუაშვილი პატიმრობაში.

ცდილობენ, ის 9-თვიანი ვადა მაქსიმალურად იქნეს ათვისებული და გამოყენებული, რომელიც გამოძიებას აქვს და მინიმუმ 9 თვე ირაკლი ოქრუაშვილი გამოკეტილი ჰყავდეთ ციხეში!

ამას ემატება ისიც, რომ არის მეორე შეთითხნილი საქმე, რომელიც ყველასთვის ცნობილი ნახევარუჯრედიანი ქარელის ჩვენების საფუძველზე მიმდინარეობს. არ არსებობს არანაირი მტკიცებულება და ბრალი ისე წარუდგინეს. ახლა პროკურატურა ცდილობს, ახალი სისხლის სამართლის კოდექსი შეიმუშაოს და პატიმრობის დღიდან კი არ დაიწყოს ათვლა, არამედ იქიდან, როდესაც ბრალი წაუყენეს, ანუ სადღაც აგვისტოს ბოლომდე გაუხანგრძლივონ პატიმრობის ვადა.

აი, ეს არის მათი მცდელობა, ხან მოსამართლეს გაუშვებენ შვებულებაში, მერე შვებულებიდან დაბრუნებულმა შეიძლება თვითაცილება მოითხოვოს და ასე გაწელონ პროცესი უსასრულოდ. მინიმუმ 20 აგვისტომდე უნდა გამოკეტონ ოქრუაშვილი ციხეში.

***— ბიძინა ივანიშვილს ამერიკის ელჩი ესტუმრა. როგორ ფიქრობთ, რა მესიჯები გადასცა მან?***

— როდესაც დაახლოებით 5 დღის წინ ჩამოსული ამერიკის ელჩი თავად სტუმრობს არაფორმალურ მმართველს, ფოტოებიდან კარგად ჩანდა ივანიშვილის სახე, რომელზეც კმაყოფილება ნამდვილად არ იკითხებოდა. ელჩი ნამდვილად არ მისულა იქ მკაცრი გაფრთხილებების მისაცემად და ყურის ასაწევად. ეს დიპლომატიური ენა არ არის. მინიშნებით საუბარი იქნებოდა ყველაფერზე.

ალბათ 1 თვე ელჩი დაელოდება ხელისუფლების პასუხს, მის რეაქციას, რამდენად ადეკვატურია ივანიშვილი, სწორად გაიგო თუ არა და მერე გადავა მოქმედების სხვა ზომებზე.

არა მგონია, ევროპის პოზიციისგან დიდად განსხვავდებოდეს ამერიკის პოზიცია. ევროპარლამენტარები უკვე სახელითა და გვარით მოიხსენიებენ ირაკლი ოქრუაშვილს, როგორც პოლიტპატიმარს. მარტში ჩამოდის ევროპარლამენტის ადამიანის უფლებების კომიტეტის თავმჯდომარე. ის აპირებს, დაესწროს ოქრუაშვილის პროცესს, მოინახულოს საპატიმროში და მისგან მოისმინოს ყველა ინფორმაცია.

ასე რომ, ევროპარლამენტი პირდაპირ ეუბნება ხელისუფლებას, რომ მას ჰყავს პოლიტპატიმრები! ასევე ყოველდღიურ რეჟიმში მოდის ამერიკელი სენტორებისა და კონგრესმენების საყვედურები და ამ ფონზე თალაკვაძე იქიდან გვეუბნება, რომ თურმე თებერვლის ბოლოს დაიხურება მოლაპარაკების ეს ფანჯარა ოპოზიციასთან.

***— ულტიმატუმის ენით გელაპარაკებათ?***

— ცდილობს, ულტიმატუმის ენით გველაპარაკოს, მაგრამ მან არ იცის რომ „ოცნებაზე“ ასჯერ უფრო გამოცდილი პოლიტიკოსები სხედან მეორე მხარეს.

არა მგონია, ულტიმატუმის ენით საუბარი დღევანდელ ოპოზიციასთან ხელისუფლებისთვის მომგებიანი იყოს.

---



# თაკო ჩარკვიანი: „საქართველოს დასაკარგი მიხეილ სააკაშვილი არ ჰყავს“

## „დარწმუნებული ნუ იქნებით, რომ ბურჯანაძე ივანიშვილთან არ არის. ამას ფინალში გავიგებთ“

იაგო ნაცვლიშვილი

საქართველოს მესამე პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი პირველი მარტიდან „სააკაშვილის საპრეზიდენტო ბიბლიოთეკის“ ბაზაზე პირად შტაბს ხსნის. ეს განცხადება სააკაშვილმა თავად გააკეთა, რომელმაც აღნიშნა, რომ როგორც ნაციონალურ მოძრაობასთან და სხვა ოპოზიციურ ძალებთან, ისე ახალ ხალხთან ერთად ქმნის მოძრაობას, რომელიც შექმნის კიდევ მეტ საფუძველს, რათა დასრულდეს ივანიშვილის რეჟიმი. თუმცა სააკაშვილს არ დაუკონკრეტებია, რომელ პარტიებთან აპირებს თანამშრომლობას.

იქნება თუ არა სააკაშვილის ახალ პროექტში, როგორ უყურებს ამ პროცესს და ხომ არ ფიქრობს, რომ ეს სრული ოპოზიციის გახლეჩისკენ გადადგმული ნაბიჯია, რაც ივანიშვილს აწყობს? — ამ და სხვა საინტერესო საკითხებზე გაერთიანებული ოპოზიციის „ძალა ერთობაშია“ ერთ-ერთი ლიდერი, პარტიის „კანონი და სამართალი“ დამფუძნებელი თაკო ჩარკვიანი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში საუბრობს.

***— როგორია თქვენი შეფასება მიხეილ სააკაშვილის იდეასთან დაკავშირებით ახალი მოძრაობის შექმნაზე, როგორ უყურებთ ამ საკითხს და იზიარებთ თუ არა მის ამ მოსაზრებებს?***

— თუ მიადევნეთ ჩემს აქტივობებს თვალი, ამ თემაზე მიმართვაც მქონდა გაკეთებული და დიდი ხანია ველოდებოდი ამ ტიპის შეფასებას სააკაშვილისგან. სულ ველოდებოდი, რომ ამის მაგვარ რაღაცას იტყოდა. ძალიან დროული და საინტერესო იდეაა. მეცინება იმ მომენტზე, რომ თუ არაფერს არ წარმოადგენს სააკაშვილი არც „ევროპული საქართველოსთვის“ და არც „ქართული ოცნებისთვის“ და არც არავისთვის თუ არაფერს წარმოადგენს ეს კაცი, მაშინ ამდენს რატომ ლაპარაკობენ ამ ადამიანზე?!

სააკაშვილი არის ყოფილი პრეზიდენტი და ეს ნიშნავს, რომ წარმოადგენს. ასე ჩანს სხვა გარემოებებითაც. რეიტინგი ამას აჩვენებს, მისი განცხადებები ყურადღების ცენტრშია. აქედან გამომდინარე, ველოდებოდი, რომ სააკაშვილი ამ ტიპის განცხადებას აუცილებლად გააკეთებდა.

ზუსტად როგორ წავა პროცესი, ამას პოლიტიკური სიტუაცია გამოავლენს. წინასწარი რეცეპტები ამ დროს არ არსებობს ხოლმე. დაახლოებით ვხვდები, საით წავა პროცესი და მინდა გითხრათ, რომ საინტერესო პროცესი მიდის.

***— ანუ ეს ასე უნდა გავიგოთ, რომ აპირებთ მასთან თანამშრომლობას და ამ პროექტში ჩართვას?***

— ჯერ ერთი, იქიდან დავიწყოთ, რომ მე ვარ გაერთიანებული ოპოზიციის „ძალა ერთობაშია“ წევრი. მე საპრეზიდენტო არჩევნების დროს როდესაც გადავწყვიტე, რომ გრიგოლ ვაშაძისთვის მხარი დამეჭირა და ბაგრატის ტაძარზე წარმედგინა საპრეზიდენტო კანდიდატად, მაშინ ვითანამშრომლე, როგორც სრულფასოვანმა პარტნიორმა ნაციონალურ მოძრაობასთან. სრულფასოვან პარტნიორობას, რა თქმა უნდა, კვლავ ვაპირებ იმ ძალასთან, რომელსაც ჰქვია ნაციონალური მოძრაობა და კერძოდ მიხეილ სააკაშვილი. მივიჩნევ, რომ მან ძალიან დიდი რეფორმები მოუტანა საქართველოს.

ჩემი პარტია „კანონი და სამართალი“ შეიქმნა ზუსტად იმიტომ, რომ გარკვეულწილად გარანტი იყოს, სამომავლოდ აღარ განმეორდეს ის შეცდომები, რომლებიც იყო დაშვებული იმ 9 წლის განმავლობაში. ამიტომ ვაპირებ მემორანდუმის გაფორმებას და ამის თაობაზე თქვენთან არაერთგზის მისაუბრია. ის შეცდომები აღარ უნდა განმეორდეს, უნდა მოხდეს ჩვენი პარტნიორობა კოალიციურ მთავრობაში და ეს მოხდეს კანონის საფუძველზე, რათა საშიში აღარავინ იყოს. საერთოდ უნდა შევთანხმდეთ იმაზე, რომ პიროვნებები კი არ არიან საშიშები, როდესაც კარგი კანონმდებლობა გაქვს, არამედ სისტემაა საშიში.

***— თუმცა სისტემას ქმნიან პიროვნებები.***

— რა თქმა უნდა, მაგრამ კოალიციურ მთავრობაში მას ვერ შექმნის ვერც ერთი პიროვნება. ამიტომ არის კარგი კოალიციური მთავრობა.

***— ანუ მემორანდუმი არის გარანტი თქვენთვის, რომ ის შეცდომები აღარ განმეორდება?***

— აუცილებლად. რა თქმა უნდა, მთლიანად გარანტი ვერ იქნება მემორანდუმი, მაგრამ იქნება ერთ-ერთი ძირითადი ხაზი და საფუძველი იმისა, რომ დაინგრევა ის სისტემა, რომელიც დღეს გვაქვს. ეს იქნება ის, რომ იქნება პროკურორის ინსტიტუტი არჩევითი, აუდიტი... ეს ყველაფერი კი მოიტანს ჯანსაღ სამართლებრივ სისტემას. სამართლებრივი სისტემის დროს ისეთი ნიჭიერი ხალხი, როგორიც, მაგალითად, მათ შორის სააკაშვილია და ბევრი ნაციონალურ მოძრაობაში, „კანონი და სამართალში“ თუ სხვა პარტიებში, არავინ საშიში აღარ იქნება. მე ძალიან მინდა, რომ ბრიტანული მაგალითი გადმოვიღოთ, რომელიც ძალიან საინტერესოა და მუშაობს.

მიხეილ სააკაშვილს საზღვარგარეთ აქვს დიდი სახელი და გვარი და, არა მგონია, რომ ჩვენნაირ პატარა ქვეყანას დასაკარგი მიხეილ სააკაშვილი ჰყავდეს. პირდაპირ გეუბნებით, ეს შეცდომა მგონია, თუმცა არავითარ შემთხვევაში არ მავიწყდება იმ 9 წლის განმავლობაში დაშვებული შეცდომები. არც ის დაგვავიწყდეს, როგორი დანგრეულ-გაუბედურებული ქვეყანა იყო და როდესაც რეფორმებს ატარებ, ბევრი შეცდომა მოგდის. ახლა, როდესაც ამ გადასახედიდან ვუყურებ, კიდევ კარგად ყოფილა სააკაშვილი, ამდენი მსტოვარი ჰყოლია გვერდით.

***— ვის გულისხმობთ?***

— ორჯერ რომ პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლად ეყოლება ნინო ბურჯანაძე, იმ ქვეყანამ შეცდომები რომ არ დაუშვას, ძალიან გამკვირვებია.

***— ვიყოთ სამართლიანები და გულწრფელები და ისიც ვთქვათ, რომ ბურჯანაძის ხელისუფლებიდან წასვლის შემდეგაც არაერთი შეცდომა იყო დაშვებული.***

— მერე მეკამათებიან ხოლმე და თქვენ შემახსენეთ, რა თანამდებობა ეკავა გიგა ბოკერიას მიხეილ სააკაშვილის მმართველობის პერიოდში?

***— უშიშროების საბჭოს მდივანი იყო.***

— კი ბატონო. არ შეიძლება, რომ რაც იმ 9 წლის განმავლობაში ხდებოდა, ყველაფერში დამნაშავე იყოს ერთი ადამიანი და დანარჩენები — პრეზიდენტის მოვალეობის ორგზის შემსრულებელი, პარლამენტის თავმჯდომარე, რომლის მიერ 8 ნოემბერს გაკეთებული განცხადებებიც არავის გვავიწყდება, იგივე უშიშროების საბჭოს მდივანი... ესენი ყოფილან უნაკლოები და არაჩვეულებრივები თურმე. ასე საუბარი ხომ არ შეიძლება.

***— ცნობილია თქვენი პოზიციებიც და ახლა უკვე სააკაშვილის ეს განაცხადი ხომ არ უნდა გავიგოთ იმგვარად, რომ გაერთიანებული ოპოზიციის გაფართოებულ ფორმატს ემიჯნებით?***

— მე ამ ფორმატის მოლაპარაკებების მაგიდას დიდი ხანია გავემიჯნე. მე მოლაპარაკებებზე დავჯექი პროპორციულის გამო, იმ მაგიდასთან, სადაც რუსული ვექტორიც იყო, მაგრამ შემდეგ გადავიდა სხვა ეტაპზე. მე, რა თქმა უნდა, გავემიჯნე მას, მაგრამ არასდროს მითქვამს, რომ ნაციონალურ მოძრაობას გავემიჯნე. ამ განცხადებით ვინ რას გაემიჯნება, კარგად გამოჩნდება.

***— ამ შემთხვევაში სააკაშვილის განაცხადიც იმ ფორმატთან გამიჯვნას ნიშნავს?***

გაგრძელება მე-5 გვერდზე

# კახა კოჟორიძე: „ივანიშვილი ხაზარაძისა და ჯაფარიძის დაპატიმრებას აპირებს“

## „წულუკიანი ჭკვიანი ქალია, მაგრამ მისი ჭკუა სახელმწიფოს არ ხმარდება“



„ლელო საქართველოსთვის“ ერთ-ერთი ლიდერი კახა კოჟორიძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

ნათია ხურცილავა

***– ბატონო კახა, როდესაც ირაკლი შოთაძესთან დაკავშირებით პრეტენზიები გამოითქვა, ხელისუფლებამ თქვა, არასამთავრობოებს უკეთესი კანდიდატი წარმოედგინა, იქნებ მას გაემარჯვაო. რას უპასუხებთ?***

– ძალიან საინტერესო არგუმენტია პატივცემული ხელისუფლების მხრიდან. 2-3 წლის წინ დაახლოებით იგივე მითხრა ლევან მურუსიძემ, თქვენ არ მონაწილეობთ მოსამართლეთა კონკურსში და აბა, როგორ გინდათო. ახლა ამ გახმაურებულ კონკურსში ძალიან ბევრმა პატივსაცემმა იურისტმა მიიღო მონაწილეობა, მაგრამ ყველამ ნახა ის ცნობილი სია, რომელიც გავიდა.

რეალურად არანაირი შანსი დამოუკიდებელ იურისტს ამ სისტემაში არ გააჩნია. ივანიშვილსა და „ქართულ ოცნებას“ მასზე დამოკიდებული მართლმსაჯულების სისტემა უნდა ჰქონდეს. ამიტომ ეს პრეტენზია ვირეშმაკობაა ხელისუფლების მხრიდან. ეს კონკურსები რომ ბლეფია, ყველამ კარგად იცის.

მოსამართლეთა კონკურსის დროს შალვა თადუმაძის გვარი გაჟღერდა თუ არა, ყველამ კარგად იცოდა, რომ ის აუცილებლად გახდებოდა უზენაესი სასამართლოს მოსამართლე, რა კითხვაც უნდა გაჩენილიყო მის დიპლომთან დაკავშირებით.

ეს კონკურსები აბსოლუტური ფორმალობაა. ეს არის დემოკრატიობანას თამაში. ვნახეთ, ვითომ დალუქული ყუთიდან როგორ ამოიღეს დალუქული კონვერტები. ეს იყო სრული სპექტაკლი. ივანიშვილს უყვარს სპექტაკლები. ამასწინათ ხომ დადგა კიდევ ერთი სპექტაკლი დაჩი ბერაიასა და დიმიტრი ხუნდაძის მონაწილეობით, თუ როგორ აუმხედრდნენ ისინი საარჩევნო სისტემასთან დაკავშირებით.

ვითომ დემოკრატიულ სახელმწიფოში ვცხოვრობთ, მაგრამ რეალურად ამ მოდელში არანაირი დემოკრატია არ არსებობს. ეს არის ერთი კაცის მმართველობა.

***– რის გამო შეიძლება, ხელისუფლებამ უკან დაიხიოს, დაამუხრუჭოს?***

– ამ სისტემაში, რომელიც ბიძინა ივანიშვილმა შექმნა, ბოტასების ქურდს აქვს შესაძლებლობა, ქვეყნის მთავარი პროკურორი გახდეს, ასევე, შესაძლებლობა აქვს ადამიანს, რომელსაც შეიძლება, დიპლომი არ ჰქონდეს, უზენაესი სასამართლოს მოსამართლე გახდეს. შეიძლება, ადამიანი პლაგიატში იყოს დადანაშაულებული, მაგრამ უნივერსიტეტის რექტორი გახდეს. ასეთია ეს მახინჯი სისტემა.

ასევე ეს სისტემა იტანს მინისტრს, რომელსაც შინ და გარეთ ყველა ერთნაირად აკრიტიკებს, მაგრამ, შეიძლება, ეს მინისტრი შეუცვლელი იყოს.

***– წულუკიანმა ამასწინათ თქვა, რომ შეიძლება შეიცვალოს კიდეც.***

– თამაშიდან კი არ გადის, თქვა, საარჩევნო კამპანიაში ჩავერთვები აქტიურადო. რა თქმა უნდა, ეს ძალიან გაგვიხარდა, რადგან წულუკიანი „ქართული ოცნების“ ლუსტრირებას კარგად მოახდენს. წულუკიანს არანაირი ავტორიტეტი არ აქვს, ერთადერთი, რაც აქვს, ეს ბოლმაა. ჭკვიანი ქალია, მაგრამ სახელმწიფოს არ ხმარდება მისი ჭკუა.

***– რთული წინასაარჩევნო კამპანიის მოლოდინში ხართ?***

– დიახ, სამწუხაროდ, ყველაფერი სწორედ ამაზე მეტყველებს. ხაზარაძე-ჯაფარიძის ის ფორსირებული სასამართლო პროცესები ივანიშვილს იქითკენ მიჰყავს, რომ, როგორც ჩანს, გადაწყვეტილი აქვს მამუკა ხაზარაძისა და ბადრი ჯაფარიძის დაპატიმრება.

ეს მას ძალიან ძვირად დაუჯდება. ეს ადამიანები მზად არიან, ბოლომდე იბრძოლონ. ივანიშვილის ეს გადაწყვეტილება ჩვენთვის კიდევ უფრო მეტი შესაძლებლობის მოტივაცია გახდება, უფრო მეტს გავაკეთებთ, რომ ხელისუფლება შეიცვალოს. ანალოგიური პროცესები მიმდინარეობს ოპოზიციის სხვა ლიდერებთან დაკავშირებითაც.

„ქართულ ოცნებას“ დღეს აწყობს, საუბარი იყოს არა სოციალურ პრობლემატიკაზე, სიღარიბის დაძლევაზე, ეკონომიკის აღორძინებაზე, გაჭირვების დაძლევაზე, პენსიების გაზრდაზე და ა.შ. არამედ გადაგდებაზე, დაკავებებზე, აქციებზე, ვიღაცამ ვიღაცას როგორ სცემა.

ბაღდათში მომხდარი ტრაგედიის შემდეგ გაახსენდა „ქართულ ოცნებას“, რომ ქვეყანაში სიღარიბეა, ბავშვები შიმშილობენ. ზოგიერთ მათ წარმომადგენელს მერეც არ გაახსენდა, დეპუტატი არველაძე ვერ იჯერებს, რომ ბავშვები შიმშილობენ.

კვირიკაშვილი რომ გადააყენეს ვითომ იუნისეფის კვლევის შემდეგ, რომელმაც ბავშვების შიმშილობაზე დასკვნა დადო, რა გააკეთა ამის გამოსასწორებლად ხელისუფლებამ?! არაფერი გაუკეთებიათ, არც ერთი ნაბიჯი არ გადაუდგამთ და დღეს უკვირთ კიდეც, როგორ შიათ ბავშვებს.

რა თქმა უნდა, ასეთი მიდგომა ამ ქვეყანას კრიზისიდან ვერ გამოიყვანს, პირიქით.

# გადმოიღებენ თუ არა მოლდოვის ახალ სამშვიდობო ინიციატივას საქართველოს კონფლიქტების მოსაგვარებლად?

მარიამ მჭედლიშვილი

## ასლან ბჟანია: „თბილისთან სხვადასხვა ეკონომიკური კონტაქტი გვაქვს“

**საქართველოს დელეგაციის აშშ-ში ვიზიტისას, სხვა ხმაურიან საკითხებთან ერთად, საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობაზეც ისაუბრეს. აშშ-ის სენატის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე ჯიმ რიშთან შეხვედრისას აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ანექსიასაც შეეხნენ. იქნება თუ არა სიახლეები და დასავლელი მოკავშირეების გააქტიურება ამ მიმართულებით, მომავალი გამოაჩენს.**

პრორუსულად განწყობილი ჯგუფები საქართველოში კონფლიქტების მოგვარებაში რუსეთის აქტიურ ჩაბმას მოითხოვენ. ისინი ხალხს არწმუნებენ, თითქოს მოლდოვამ თავის კონფლიქტურ რეგიონთან, დნესტრისპირეთის რესპუბლიკასთან ურთიერთობა ბოლომდე მოაწესრიგა და ეს მოხდა რუსეთის შუამავლობით.

ეს რომ ტყუილია, ამას ადასტურებს მოლდოვის პრეზიდენტ იგორ დოდონის ახალი ინიციატივა. დოდონის წინადადება საერთოდ არ გულისხმობს რუსეთის ჩართვას პროცესში.

მოლდოვის პრეზიდენტი დნესტრისპირეთს ფართო ავტონომიას სთავაზობს. მისი თქმით, 30-წლიან კონფლიქტს ბოლო უნდა მოეღოს.

დოდონი ტირასპოლთან ამ თემაზე პირდაპირ ორმხრივ მოლაპარაკებებს აპირებს.

– დნესტრისპირეთს არა აქვს მომავალი მოლდოვის გარეშე. უნდა დავსხდეთ და მოვილაპარაკოთ. მზად ვართ ფართო ავტონომიისათვის,



– აღნიშნა დოდონმა.

მისი თქმით, გარეშე ძალებს არაფერი შეუძლიათ მაშინ, თუ ორ მხარეს ერთმანეთთან საერთო ვერ უპოვიათ.

მოლდოვის პრეზიდენტისათვის იმედისმომცემია ის, რომ დნესტრისპირეთში მცხოვრებ 300.000 მოქალაქეს მოლდოვის მოქალაქეობა აქვს. რეგიონის წარმოების 70%-ს კიშინიოვი და ტირასპოლი ერთობლივად უშვებენ, მისი 40% კი, კიშინიოვის თანხმობით, ევროკავშირში გადის. მოლდოვა აღიარებს რეგიონში გაცემულ დიპლომებს და დნესტრისპირელებს მანქანების ნეიტრალურ ნომრებს ურიგებს.

ტირასპოლიდან ამ წინადადებაზე ჯერ თანხმობა არ ყოფილა, თუმცა, არ არის გამორიცხული, დრომ რეალობა მოლდოვის ტერიტორიული მთლიანობის სასარგებლოდ შეცვალოს.

ექსპერტები დასავლეთის დახმარებით რუსეთის გარეშე დნესტრისპირეთის დაბრუნებას მოლდოვის იურისდიქციაში დაახლოებით ორი წლის წინ ვარაუდობდნენ. მაშინ საუბარი იყო იმაზე, რომ პრორუსული პოლიტიკით ცნობილმა დოდონმა გეზი დასავლეთისკენ აიღო.

ეკონომიკური და ჰუმანიტარული კავშირები თბილისსაც აქვს აფხაზეთისა და ცხინვალის ოკუპირებულ რეგიონებთან.

აფხაზეთში დიდია რუსეთის საწინააღმდეგოდ განწყობილთა რიცხვი, თუმცა ამის აფიშირება მასობრივად არ ხდება. აფხაზები დემოგრაფიული უფსკრულის წინაშეც დგანან. აფხაზეთში რაოდენობრივად დიდი ხანია, სომხური მოსახლეობა ლიდერობს.

დაახლოებით სამი კვირის წინ დე ფაქტო პრეზიდენტობის რეალურმა კანდიდატმა ასლან ბჟანიამ ქართული „ინტერპრესნიუსისათვის“ მიცემულ ინტერვიუში გამოთქვა თბილისთან დიალოგის მზადყოფნა. მანვე ახსენა არძინბას პოზიცია.

ახლახან ასლან ბჟანიამ აფხაზურ მედიასთან დააზუსტა, რომ მხედველობაში ჰქონდა ვლადისლავ არძინბას 1997 წლის ინტერვიუ.

– მჯერა, რომ საქართველო და აფხაზეთი ნორმალურად განვითარდებიან და დადგება მომენტი, როცა ჩვენ ერთმანეთს ხელს გავუწვდით. ქართველ ხალხში მტერს არასდროს ვხედავდი. უნდა დავსხდეთ და ბოლომდე დავამუშაოთ, რაც დასამუშავებელია, – ამბობდა არძინბა.

– ეს არის დარიგება მათთვის, ვინც დაკავებულია პოლიტიკით აფხაზეთში. ეს არის დარიგება, თუ როგორ უნდა ააწყო ურთიერთობები, მათ შორის, საქართველოსთან, – აღნიშნავს ბჟანია.

მისი განმარტებით, საქართველოსთან არსებობს სხვადასხვა სახის ეკონომიკური კონტაქტი. მათ შორის ყველაზე ცნობილი ენგურჰესია. არის ნაკლებად გასაჯაროებული ფაქტებიც. მაგალითად, ყოველწლიურად აფხაზეთი აწარმოებს 10.000 ტონა თხილს. აქედან რუსეთში გადის მხოლოდ 1.000 ტონა.

ბჟანიას ინფორმაციით, 9.000 ტონა ენგურგამოღმა გადმოაქვთ.

– ამით მდიდრდება რამდენიმე ჩინოსანი. სახელმწიფო ამას ვერ აკონტროლებს. ამას როგორ მოვაგვარებთ, თუ საპირისპირო მხარეს არ დავეკონტაქტეთ? – კითხულობს პრეზიდენტობის ფაქტობრივი კანდიდატი.

ბჟანია ხაზგასმით აღნიშნავს, რომ დიალოგისას კითხვის ქვეშ არ დადგება აფხაზეთის სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობის საკითხი.

ამ თემაზე ამ ეტაპზე სოხუმი და თბილისი ვერ თანხმდებიან. პირდაპირი დიალოგი ნორმალურ ადმინისტრაციასთან ნებისმიერ შემთხვევაში პოზიტივის მომტანი უნდა იყოს.

კიშინიოვის ტირასპოლთან დალაპარაკება კრემლის გარეშე ახალი ტენდენციის მომასწავებელი გახდება პოსტსაბჭოთა სივრცეში.

დასაწყისი მე-2 გვერდზე

# „სააკაშვილი ოპოზიციის დიდ ნაწილს თავის მხარეზე გადაიყვანს“

გამოდის თალაკვაძე და თეთრი სახლის ფონზე აცხადებს, ამერიკელები ჩვენ მხარეს არიანო და იქიდან სთავაზობს ოპოზიციას, 50/100-ზეო. ამაზე ქვემოთ არ დავლენ. ბოკერია ამას არ თანხმდება. თუ დათანხმდა, ეს ნიშნავს, რომ ეს თამაში რეალურად წააგო.

მაგრამ უეცრად ამ ერთიანობიდან ჩნდება რაღაც ახალი ჯგუფი, რომელიც, დიდი შანსია, რომ დათანხმდეს ხელისუფლების თამაშს. მე თუ მკითხავთ, ბოკერიას პოლიტიკურად სული ამოხდება! არც ის არის გამორიცხული, ახლა ჩანაწერებიც გავრცელდეს, რომ სააკაშვილი ამას აპირებს. სააკაშვილი და ბიძამისი ლაპარაკობენ ნიუ იორკში და ხდება ამ საუბრის ჩაწერა. ან ერთი იწერს და ან მეორე! ან ერთი აწვდის მერე ხელისუფლებას, ან მეორე, რომ მერე ხელისუფლებამ გამოააშკარაოს.

***– ანუ ესეც შეთანხმებით ხდება?***

– დიახ, შეთანხმებით. აბა ამერიკაში სხვა ვინ ჩაიწერს მათ საუბარს!

კვირიკაშვილის დროს თუ იყო ხელისუფლებასთან ძალიან ჩახუტებული ბოკერია, ახლა ისეთი სურათი იხატება, რომ სააკაშვილი უფრო დაალაგებს ხელისუფლებასთან, მით უფრო, რომ ეს გაერთიანებული ოპოზიციური პარტიები, ბოკერიას სახით, არ ცდება 15%-ს. იქ ნაციონალური მოძრაობა იყო ყველაზე დიდი სიმძიმის ცენტრი, თუ გამოეცლებათ, ცუდად იქნება მათი საქმე. მარტო ნაცებს, ცალკე აღებულს, აქვთ 15% და ამათ ყველას ერთად თუ ექნებათ მაგდენი.

მიშაც ფიქრობს, თავისი სიძლიერე რატომ უნდა დაუთმოს იმ ადამიანს, რომელმაც პირველივე მამლის ყივილზე გაყიდა. ვგულისხმობ ბოკერიას.

***– ანუ დიდი ამბები იწყება ოპოზიციაშიც?***

– ახლა იწყება, რაც იწყება. მით უმეტეს, გავარდა ხმები, რომ ბიძინა ივანიშვილი კვლავ მილიონების დარიგებას იწყებს და ხელისუფლების კვლავ ფულით შენარჩუნებას. ბევრი გაიყიდება მის ფულზე!

მე ადრეც ვამბობდი და გავიმეორებ, რომ „ქართული ოცნება“ და ბიძინა ივანიშვილი დღემდე ცოცხლობენ სააკაშვილითა და ნიკა გვარამიას განცხადებებით. ეს ცხადზე უცხადესია! ვის წინააღმდეგ მოვიდა ხელისუფლებაში ბიძინა ივანიშვილი?! მიშასა და ნაციონალური მოძრაობის წინააღმდეგ, ანუ შავი მხარე თუ არის ნაცმოძრაობა, თეთრი მხარე არის „ქართული ოცნება“. თუ ნაციონალური მოძრაობა გაქრა და სააკაშვილი გაქრა, გაქრება „ქართული ოცნებაც“, აღარ იქნება მისი პოლიტიკური საჭიროება.

ჩვენ თუ არ ვიქნებით, მოვა სააკაშვილი! – ეს რომ იძახონ, ამისთვის უნდა არსებობდეს სააკაშვილი. ეს ერთი ჯოხის ორი ბოლოა! ეს ჩვეულებრივი ამბავია.

***– ამ ფონზე ხელისუფლების შიგნით რა პროცესები მიმდინარეობს?***

– შეერთებული შტატებიდან ძალიან მკაფიო მესიჯები მოვიდა. მათ პირდაპირ უთხრეს წერილებში და იქ ჩასულებსაც, ეს ჩემთვის კულუარულად ცნობილი გახდა, რომ ისინი ბიძინას ეუბნებიან, შენ რომ მიგზავნი აქ ვიღაცა სპიკერსა და პრემიერს, მე ამათი აღარ მჯერა. კეთილი ინებე და შენ თვითონ დაგვპირდი იმას, რომ ეს ასე იქნება.

***– ამერიკის ელჩის სტუმრობა ივანიშვილთან ამას ნიშნავდა, რომ პირველ პირად სწორედ მას აღიარებენ?***

– რა თქმა უნდა! ეს მესიჯი მივიდა ბიძინასთან, არ კმარა, რომ ის მხოლოდ პარტიის თავმჯდომარეა.

***– ანუ თავად ივანიშვილს სთხოვენ, რომ გახდეს პრემიერი?***

– დიახ, მისგან ითხოვენ პრემიერობას. თუმცა ივანიშვილს ღარიბაშვილი სურს პრემიერად. უკვე 5 თვეა, რაც ღარიბაშვილი თავდაცვის მინისტრია და ამ თვეების განმავლობაში ის არ ერთვება არანაირ პოლიტიკურ ბატალიებში, საერთოდ არ აკეთებს პოლიტიკურ განცხადებებს. მისი შემზადება ხდება პრემიერობისთვის თუ არა, ვიცეპრემიერობისთვის მაინც.

თუ ბიძინას ძალიან მიაწვნენ ამერიკელები და ის მოვიდა პრემიერად, ღარიბაშვილი ვიცეპრემიერი გახდება, ხოლო თუ მან შეძლო ამერიკელების დარწმუნება და თავის დაძვრენა, მაშინ პრემიერი ღარიბაშვილი ხდება. მას ამზადებს ამისთვის.

ღარიბაშვილს ძალიან მაღალი დონის შეხვედრები აქვს დასავლეთში, ასეთი არც ერთი მინისტრსა და საგარეო საქმეთა მინისტრსაც არ ჰქონია. ცხადია, რომ ეს ადამიანი რაღაცა დიდისთვის ემზადება. შეიძლება ითქვას, რომ ბატონი გახარიას დრო უკანა მიმართულებით მიდის და მისი წუთები დათვლილია.

ივანიშვილს არ აწყობს გახარიას დიდი ხნით დატოვება ამ თანამდებობაზე, რადგან მასზე სულ უარყოფითი მესიჯები მოდის.

დღეს ამერიკა პირველ პირად ივანიშვილს ითხოვს.

# ვახტანგ მაისაია: „საქართველოს მიმართ ტრამპს ინტერესი გააჩნია“

გულიკო ბალაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი სამხედრო-პოლიტიკურ და უსაფრთხოების საკითხებში **ვახტანგ მაისაია** პასუხობს.

***– ბატონო ვახტანგ, აშშ-ის პრეზიდენტის იმპიჩმენტი არ შედგა. შეიძლება, ამან ბიძგი მისცეს ტრამპის მეორედ გაპრეზიდენტებას. რა მისცა მისმა პრეზიდენტობამ მსოფლიოს, რა იყო სიახლე და საქართველოს რა შეუძლია, მიიღოს ამით?***

– თქვენ გლობალური საკითხი დასვით. ზოგადად ტრამპის გაპრეზიდენტებამ გამოიწვია ის, რომ მან ლიბერალური და ნეოლიბერალური ტიპის ამერიკული პოლიტიკა კონსერვატიულ რელსებზე გადაიყვანა, ფაქტობრივად, ტრადიციონალისტურ რელსებზე დააბრუნა.

ტრამპს გააჩნია ფრთხილი დამოკიდებულება ლგბტ და სხვა ასეთი ტიპის თემებისადმი. ლიბერალები ამ თემებს ავითარებენ და პირდაპირ ლობირებას უწევენ, რაც არის მაქსიმალური თავისუფლების ხარისხის ელემენტები.

ტრამპი შეეწინააღმდეგა ჯორჯ სოროსის ექსპანსიონიზმს. ამ მიმართულებით მან საკმაოდ პოზიტიური როლი შეასრულა. ფაქტობრივად, ამერიკაში არსებულმა სიტუაციამ გავლენა მოახდინა ევროპაზეც და ბრიტანეთში ხელისუფლების სათავეში მოვიდა ბორის ჯონსონი, რომელიც ისეთივე ტიპის ნაციონალისტი და კონსერვატორია, როგორიც ტრამპი.

ტრამპმა მიაღწია სერიოზულ ეკონომიკური ზრდის ტემპებს ამერიკისათვის, ამერიკული ბიზნესის ინტერესები დაიცვა. მან ეს შეძლო ამერიკის გლობალური დომინანტობის შეჩერების ხარჯზე, შემოიღო ტერმინი „შერჩევითი ჩარევის პრინციპი საგარეო პოლიტიკაში“. ფაქტობრივად, უნიპოლარული მსოფლიო წესრიგი გადააქცია ტრიპორალურ მსოფლიო წესრიგად, სადაც ამ ეტაპზე სამი გავლენის ცენტრია – ამერიკა, ჩინეთი და რუსეთი.

ტრამპმა წამოიწყო სავაჭრო ომი ჩინეთთან, რომელიც ახლა დასრულდა და მიაღწია ექსპორტის სტიმულირების პირობების განვითარებას.

***– მაგ სავაჭრო ომშიც ტრამპმა გაიმარჯვა.***

– ამერიკამ თავისი ინტერესები დაიცვა. ნატოს მიმართულებითაც მას სერიოზული ინტერესები ჰქონდა და ესეც გამოკვეთა. ჩრდილოეთ კორეისა და ირანის მიმართულებითაც მან აჩვენა პრობლემის მოგვარების სერიოზული რადიკალური მომენტები, თუმცა ჩრდილოეთ კორეასთან მან პირდაპირი დიალოგი ამჯობინა.

***– როგორ აისახება ტრამპის პრეზიდენტობა საქართველოზე იმ პირობებში, როდესაც ბოლო პერიოდში კონგრესმენები და სენატორები თავიანთ წერილებში საქართველოს ხელისუფლებას აკრიტიკებენ?***



– რომ გითხრათ, ტრამპს კავკასიის მიმართ ინტერესი აქვსო, მოგატყუებთ. ტრამპის ინტერესი კავკასიის მიმართ განულებულია. 2018 წელს, როდესაც ტრამპმა შეიმუშავა ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია, იქ განსაკუთრებული მნიშვნელობის რეგიონებიდან კავკასია ამოიღეს, რაც წინა სხვა პრეზიდენტების პერიოდში დაფიქსირებული იყო, კერძოდ, ობამას, ბუშის, კლინტონის პერიოდში ეწერა. ტრამპმა ცენტრალურ აზიაზე გააკეთა აქცენტი.

ბოლო დროს მაიკლ პომპეო თავისი ევროპული ვოიაჟის ფარგლებში იმყოფებოდა უკრაინაში, ბელორუსსა და ცენტრალურ აზიაში. კავკასიის ქვეყნებში არ ჩამოსულა. ესეც საინტერესო ფაქტია და ჩანს, როგორია მისი დამოკიდებულება.

საქართველოს მიმართ ტრამპს, რა თქმა უნდა, გააჩნია ინტერესები. როგორც იქნა, ამერიკის ელჩი საქართველოში დაინიშნა, ქალბატონი დეგნანი, რომელიც მაღალი პროფესიონალიზმით გამოირჩევა. ტრამპმა საქართველოს ამერიკის თავდაცვის ბიუჯეტიდან გამოუყო დაახლოებით 300 მილიონ დოლარამდე. იუსაიდმაც სწორედ ტრამპის ადმინისტრაციის უშუალო მითითებით გაააქტიურა თავისი საქმიანობა საქართველოში.

***– შავ ზღვასთან დაკავშირებით ხომ აქვს ინტერესი?***

– შავი ზღვის მიმართულებით ტრამპის დაინტერესება მაინცდამაინც არ გამოიხატება. ზოგადად ამერიკას ამ რეგიონში თავისი ინტერესები გააჩნია, მაგრამ ამ ეტაპზე – უფრო უკრაინის მიმართ. უკრაინის პოლიტიკა პირდაპირ შეხებაში იყო ტრამპის პოლიტიკასთან. უკრაინის გამო ტრამპის მიმართ დემოკრატებმა წამოიწყეს იმპიჩმენტი და ტრამპი ორივე მუხლში გამართლდა.

ტრამპმა მაინც მიაღწია მიზანს – ბაიდენისა და მისი შვილის მიმართ უკრაინის პროკურატურამ სისხლის სამართლის საქმე აღძრა. ანტიკორუფციულმა ბიურომ გამოძიება დაიწყო. როგორც ხედავთ, ტრამპი ყოველთვის იწყებს და, სირთულეების მიუხედავად, მაინც იმარჯვებს. ახლა ტრამპის რეიტინგი 49 პროცენტამდეა ასული.

***– კონგრესმენებისა და სენატორების დამოკიდებულებას როგორ აფასებთ?***

– კონგრესმენებთან დაკავშირებით არის მომენტი, რომელიც უკავშირდება ლობისტურ ქმედებებს. ამერიკულ კომპანია „ფრონტერას“ უკან დგანან სერიოზული ლობისტური ჯგუფები.

როგორც ახლა გამოჩნდა, ნაცმოძრაობასაც ჰყავს სერიოზული ლობისტები ქუთელიასთან კავშირში. ნაცმოძრაობასთან დაკავშირებული ლობისტური კომპანიებიც მოქმედებდნენ კონგრესში. მიხეილ სააკაშვილი, ყოფილი მაღალჩინოსნები, ავტორიტარული რეჟიმის არქიტექტორები ლობისტურ ქმედებებში არიან ჩართული ქუთელიასა და სხვების სახით. გასაგებია, რომ ისინი არსებული ხელისუფლების საწინააღმდეგოს იტყვიან. საქართველოს ხელისუფლების დელეგაციის ჩასვლით ნაცების დასმენებს ზომიერი პასუხი გაეცა.

სააკაშვილი და მისი ნაცმოძრაობა დასმენებსა და ანონიმკობაზე არიან გადასული. დღესაც კი მათი ლობისტი ქუთელია ამერიკაშია. კიდევ იმდენად თავხედობენ, რომ დამოუკიდებელ ექსპერტებად წარმოგვიდგენენ თავს. ეს არის სააკაშვილის ორმაგი სტანდარტი. სხვათა შორის, მაიკ პომპეომ სააკაშვილს ძალიან კარგი პასუხი გასცა.

***– რას გულისხმობთ?***

– როდესაც სააკაშვილი შეეცადა პომპეოსთან შეხვედრას, პომპეომ იკითხა, ვინ არის სააკაშვილიო. პომპეომ მისი მიღებაც არ იკადრა და იმ სასტუმროდან გამოაპანღურეს. უკრაინის პრეზიდენტმა ზელენსკიმ პომპეოს ბოდიში მოუხადა სააკაშვილის პოლიტიკური თავხედობის გამო.

აქედან გასაგებია, რომ ტრამპი სააკაშვილსა და მის გუნდს ძალიან ცუდი თვალით უყურებს. ეს გასაგებიც არის, რადგან სააკაშვილმა ტრამპი მოატყუა თავის დროზე და მას არაკეთილსინდისიერად მოექცა.

***– ეს ტრამპთაუერს უკავშირდება?***

– ზუსტად. სააკაშვილმა ტრამპს ქრთამი მოსთხოვა. გასაგებია, ტრამპის დამოკიდებულება როგორი იქნება.

# თაკო ჩარკვიანი: „საქართველოს დასაკარგი მიხეილ სააკაშვილი არ ჰყავს“

დასაწყისი მე-3 გვერდზე



– ამას ვერ გეტყვით. ამ კითხვის ადრესატი მე არ ვარ და ეს თავად განმცხადებელს უნდა ჰკითხოთ, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, იმ მაგიდას რომ არ შეუერთდა თავად მიხეილ სააკაშვილი, ეს ფაქტია. გამიჯვნაა თუ რა არის, ამას მე ვერ გეტყვით, მაგრამ, რა განაცხადიც სააკაშვილმა გააკეთა, მე ეს მომეწონა. მას აქვს საინტერესო გამოცდილება, იცის რეფორმები და ახალგაზრდობას მოუწოდა, ჩემთან მოდითო. მე მომეწონა ფრაზა, რომ, როგორც ჩანს მას არ სურს ძალიან დიდი ხნის პოლიტიკოსები.

***– მაგრამ, მეორე მხრივ, დღეს არის ის ფუფუნება, რომ მოხდეს ამგვარი გაყოფა?***

– როგორ არ გვაქვს. 27-წლიანი ნათალლითარი პოლიტიკოსები გამოცდილებას კი არ ნიშნავს. შენ გაქვს 27-წლიანი გამოცდილება იმისა, რომ ძალიან ოსტატურად ძარცვავ შენს ქვეყანას. მათი პოლიტიკაში ყოფნა რა ფუფუნებაა?! ამ შემთხვევაში ნამდვილად არ მოვიაზრებ ამ ტიპის პოლიტიკოსებში გიგა ბოკერიას, იმიტომ, რომ გიგა არის დასავლური ვექტორი და ა.შ.

***– მხოლოდ ბურჯანაძეს გულისხმობთ?***

– მე მხოლოდ მისგან მაქვს უკიდურესად რადიკალური განცხადება მოსმენილი. ასეთივე განცხადება რომ მოვისმინო რუსული ვექტორის სხვა პოლიტიკოსისგან, მასზეც ვიტყოდი. განცხადება იმაზე, 500 კაცი რომ მოკვდება საქართველოში, არაფერია და შემდეგ გრუ-ს ჯარს ველაპარაკოთო, მხოლოდ ამ ქალისგან მაქვს მოსმენილი.

***– ბურჯანაძემ თქვა, ყველას გვაქვს დაშვებული შეცდომები, ჯერ ივანიშვილი გავისტუმროთ და მერე გავმართოთ ამაზე ჯანსაღი დისკუსიაო. არ ეთანხმებით ამაში?***

– მაპატიეთ, შეცდომა შეცდომაა, მაგრამ 500 კაცი რომ უნდა მოკვდეს და მერე ისინი გრუ-ს ჯარს ელაპარაკონ, ამას შეცდომა არ ჰქვია. ამას ჰქვია ერთადერთი სახელი – ჩემი სამშობლოს გაყიდვა. შეცდომა იყო ის, რაც მოუვიდა სააკაშვილს, ბოკერიას თუ ვილაც სხვას. გეკითხებით, პირადად თქვენ ამას შეცდომას ეძახით?

***– მე ციტირება მოვახდინე, თორემ, თუ დღევანდელ ოპოზიციაზე ვსაუბრობთ, პირადად ჩემთვის ესეც მიუღებელია და ისიც, რაც იმ წლებში რიგ შემთხვევებში ხდებოდა.***

– ეს რაც ახლა გავიხსენე, ამას ჰქვია ქართული სახელმწიფოებრიობის განადგურება. განსხვავებით ბურჯანაძისგან, მე 9 წელი ვიყავი ოპოზიციაში ზუსტად სამართლებრივ ჭრილში დაშვებული დანაშაულებრივი შეცდომების გამო, რაც მიხეილ სააკაშვილის დროს იყო. ამიტომ ვიყავი ოპოზიციაში. აბსოლუტურად გეთანხმებით, რომ მიუღებელი იყო და მაგიტომ ვიყავი ოპოზიციაში, მაგრამ, როდესაც სახელმწიფოებრივ ჭრილში ვაფასებთ ამ ორი ადამიანის მოღვაწეობას, უხერხულია, ერთმანეთის საპირწონედ დავაყენოთ. სააკაშვილმა გაატარა რეფორმები, რომლებიც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყო სახელმწიფოებრიობისთვის, ბურჯანაძე კი მზად არის, უპირობოდ გადააბაროს სახელმწიფო ოკუპანტს. ამიტომ ვერ დაგეთანხმებით.

***– ამბობთ, რომ ივანიშვილი არის რუსული ვექტორის წარმომადგენელი. მაშინ რატომ არ დგას ბურჯანაძე ივანიშვილთან, თუნდაც ისე, როგორც „პატრიოტთა ალიანსი“?***

– დავიწყოთ იქიდან, რომ ამას ფინალში გავიგებთ. ასე დარწმუნებული ნუ იქნებით, რომ ის არ არის ივანიშვილთან. ასე ხაზარაძესაც ეგონა და ზურაბიშვილი აარჩევინა ხალხს, მაგრამ გადააგდო ივანიშვილმა. ეს ივანიშვილის სტილია, გაურიგდება ხოლმე და მერე გადააგდებს. ასე რომ, დარწმუნებული ნუ იქნებით. ძაღლი ძაღლის ტყავს არასდროს დახევს, რუსული ვექტორი საბოლოოდ ყოველთვის იქნება.

***– ოპოზიციის წარმომადგენლები, რომლებიც ამ მოლაპარაკებებზე არიან, ვერ ხვდებიან? იქნება ეს ბოკერია, ნაციონალური მოძრაობა თუ სხვები.***

– მიხეილ სააკაშვილის რეიტინგითა და პერსონის გამო ბევრ ადამიანს დაუბრმავდა თვალები და ჩათვალეს, რომ ბურჯანაძე სამომავლოდ არ არის საშიში, იმიტომ, რომ ხელისუფლებაში ვერ მოვა, რაც შეცდომაა. კი, ხელისუფლებაში ვერ მოვა, მაგრამ, სამაგიეროდ, რუსული ვექტორი მოასწრებს რეაბილიტაციას.

***– ბოკერია გყავთ მხედველობაში, რომელზეც ამბობთ, თვალები დაუბრმავდაო?***

– დიახ. მგონია, რომ მას მოუვიდა შეცდომა. ის დასავლურ ვექტორს წარმოადგენს და არ ვუშვებ, რომ სხვა ჩანაფიქრი ჰქონდეს. მგონია, რომ მან მოინდომა ისეთივე გაერთიანების გაკეთება, როგორიც არის „ძალა ერთობაშია“ და გამოუვიდა კიდეც. იმაში, რომ ბურჯანაძე ვერ მოვა ხელისუფლებაში და საშიში არ არის, ჩემი ღრმა რწმენით, ცდება. ეს დაადასტურა „მთავარი არხის“ სიუჟეტმაც. მხედველობაში მაქვს ის, რომ გახარიას მამასა და ჭაჭიას აქვთ სეპარატისტული ორგანიზაცია. ეს ჭაჭია თავის დროზე გამსახურდიას მომხრეობას იბრალებდა, მაგრამ შემდეგ გაიშიფრა, რომ ის იყო შეგდებული ტიპი ნუგზარ ფოფხაძის მიერ. „საქართველო და მსოფლიო“ ასევე იყო ჭაჭიასი და იქ ასევე არის ფოფხაძე. ამიტომ ვამბობ, რომ ბალტიისპირეთის გზა ავირჩიოთ. გულწრფელად მინდა, რომ ბოკერიას პარტიამაც ეს გზა აირჩიოს.

***– ბოკერიას აქვს პოზიცია, რომ ამ ქვეყანაში ცხოვრობენ პრორუსი ადამიანებიც და მათაც უნდა არჩევანის თავისუფლება.***

– არა, მე ასე არ ვთვლი. ეს პრორუსები კი არ არიან, ესენი არიან ოკუპანტები. ჩვენ რუსებს კი არ ვებრძვით, ბელა ახმადულინასა და კულინს კი არ ვებრძვი, აქ ლაპარაკია შავრაზმულ რუსეთზე, რომელმაც საქართველოს ტერიტორიის ოკუპირება მოახდინა. ოკუპანტს არანაირი არჩევანის უფლება არ უნდა მიეცეს ჩვენს ტერიტორიაზე. დემოკრატია გვიშველის, თუ ოკუპანტს მივცემთ საქართველოში არჩევანის უფლებას?! დიდი ხანია, ქართველმა ხალხმა გააკეთა რეფერენდუმის გზით არჩევანი. მე არ მომისმენია გიგას ეს განცხადება, მაგრამ, თუ ეს თქვა, ძალიან შემცდარა. თუ ლიტერატურასა და მწერლობას გულისხმობს პრორუსში, სხვაა. მე ვახსენებ ხოლმე ოკუპანტს.

***– არასწორად გაიგეთ კითხვა. ოკუპანტის არჩევანის უფლებაზე კი არ არის საუბარი, არამედ საქართველოს იმ მოქალაქეებზე, რომლებსაც მოსწონთ რუსული პოლიტიკა ან რუსეთთან დიალოგს ვინც ემხრობა.***

– პროპორციულის მოთხოვნის უფლება მართლაც ყველას აქვს და მეც დავჯექი პროპორციულის თაობაზე მოლაპარაკების მაგიდასთან. მორჩა ეს თემა და იმის იქით რაზე უნდა ველაპარაკო ადამიანს, რომელსაც არაფრად უღირს 500 ქართველის სიკვდილი და რომელიც მერე გრუ-ს ჯარს უნდა ელაპარაკოს. ჩემთვის ეს წარმოუდგენელია.

***– თქვენ იმის რისკს ვერ ხედავთ, რომ ამ გაყოფამ, შესაძლოა, ივანიშვილის წისქვილზე დაასხას წყალი?***

– გადაავლეთ თვალი, რამდენი პოსტი და პუბლიკაცია გამოვაქვეყნე და აბსოლუტურად ყველაფერი გეგმის მიხედვით მიდის. ივანიშვილის წისქვილზე წყალს ასხამს მხოლოდ პროოკუპანტური ვექტორის რეაბილიტაცია საქართველოში. თქვენ თუ ხუბუტია და ლავროვის საქართველოში ჩამოსვლაზე საუბარი შემთხვევითი გგონიათ, ძალიან შემცდარხართ. როგორც კი ცოტა კუდი მოიქნია და ოდნავ პროცენტი მოემატა რუსულ ვექტორს, იმ წუთში ტონალობა შეეცვალათ და ხან ლავროვის შემოყვანას აპირებენ და ხან რას. ჩემთვის არა აქვს მნიშვნელობა, მას ბურჯანაძე ერქმევა თუ პუწუაშვილი.

უნდა გაკეთდეს დასავლური ვექტორის ერთობა, გაკეთდეს კარგი სამართლებრივი ბაზა და ქვეყანა გაიწმინდოს ამ სისტემისგან, უნდა გამოვიყენოთ „ნაციონალებისა“ თუ „ევროპული საქართველოს“ გამოცდილება, არიან საინტერესო ახალგაზრდები, თუნდაც ჩვენს პარტიაში. კარგი სამართლებრივი სისტემის პირობებში არავინ აღარ იქნება საშიში. ეს არის ის გზა, რომელმაც დასავლეთი დააყენა ფეხზე. ჩვენ კი 27 წელია, არა და არ ჩავხსენით ეს რუსული ვექტორი. როგორც კი ამას გავემიჯნებით და დასავლური ვექტორი ერთად დადგება ღირსეულად, არავინ საშიში აღარ იქნება. ამით დადგა რამდენიმე ქვეყანა ფეხზე და ჩვენც ეს გზა უნდა ავირჩიოთ.

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა.** თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა, რაშიც ლამარა თოდუას ნაყენები დაგეხმარებათ. ორკვირიანი პროცედურით გაგეწმინდებათ ორგანიზმი.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს; 20. ბუასილს.**

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52.**

## ოდესაში უკრაინა-აშშ-ის სამხედრო სწავლებები დაიწყო



ოდესაში უკრაინა-აშშ-ის ერთობლივი სამხედრო სწავლებები „სი ბრიზ 2020“ დაიწყო.

წელს მონაწილეთა რაოდენობა გაიზარდა. ადრე „სი ბრიზში“ ძირითადად უკრაინა-აშშ-ის შეიარაღებული ძალების წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. წელს მასში იაპონიისა და სამხრეთ კორეის წარმომადგენლებიც ჩაებმებიან.

მათ ნორვეგიელი სამხედროებიც შეუერთდებიან.

## იგორ სტრელკოვი: „რუსეთს ყირიმის დაბრუნება მოუწევს“



დონბასელ სეპარატისტთა ბანდების ექსმეთაურმა იგორ სტრელკოვმა განაცხადა, რომ 2014 წელს რუსეთმა ხელიდან გაუშვა ხელსაყრელი მომენტი.

– უკრაინაში იანუკოვიჩის დამხობის შემდეგ ერთხანს ხელისუფლება არ არსებობდა, სამხრეთ-აღმოსავლეთ რეგიონებში კი მასობრივი წინააღმდეგობის მოძრაობა გაიშალა. რუსეთიდან მხარდაჭერის შემთხვევაში რეალური იყო არა მარტო ყირიმის, არამედ მთელი სამხრეთ-აღმოსავლეთ უკრაინის რუსეთთან შეერთება, – ამბობს სტრელკოვი.

მისი აზრით, პუტინმა დასავლეთის, უწინარეს ყოვლისა აშშ-ის ზეწოლით უკან დაიხია. უკრაინამაც შექმნა არმია და წინააღმდეგობის ორგანიზება შეძლო. დონბასის ომმაც გაჭიანურებული ხასიათი მიიღო, რასაც, დასავლეთის მხრივ, სანქციები მოჰყვა.

– რუსეთი ამას ვერ გაუძლებს! გვინდა თუ არა, დონბასიდან უკანდახევა და ყირიმის დაბრუნებაც მოგვიწევს! რაც უფრო გვიან მოხდება ეს, მით უარესი რუსეთისათვის, – თქვა სტრელკოვმა.

## ტაილანდელი ჯარისკაცი, რომელმაც 26 ადამიანი მოკლა, ლიკვიდირებულია



32 წლის ტაილანდელი ჯარისკაცი ჯაკრაპანტ ტომა, რომელმაც ტაილანდის ქალაქ ნახონ რატჩასიმას სავაჭრო ცენტრში 26 ადამიანი მოკლა, ლიკვიდირებულია.

თავდასხმის შედეგად დაღუპულია 26 და დაჭრილია 57 ადამიანი.

თავდასხმამდე მამაკაცმა მეთაური მოკლა და სამხედრო ბანაკიდან იარაღი მოიპარა. მოგვიანებით ის ქალაქის ცენტრში მდებარე სავაჭრო ცენტრში შეიჭრა, ცეცხლი გახსნა და მძევლები აიყვანა.

მამაკაცმა სოციალურ ქსელში პისტოლეტისა და ტყვიების ფოტო ატვირთა და დაწერა: „აღელვების დროა, სიკვდილს ვერავინ აიცილებს“.

თავდასხმის დროს მან ვიდეოც გაავრცელა.

ფეისბუქის ადმინისტრაციამ ჯაკრაპანტ ტომას პროფილი გააუქმა.

## შეტაკებები ყაზახეთში

### დაიღუპა 10 ადამიანი



ყაზახეთში მომხდარი შეტაკებისას მიღებული დაზიანებების გამო დაღუპულთა რიცხვმა 10-ს მიაღწია. საავადმყოფოებში იმყოფება 30-დე მოქალაქე.

ყაზახეთში, ზამბილის პროვინციაში, შეტაკებები პოლიციასთან მასანჩის სოფელში განხორციელდა. ასობით ადამიანი ადგილზე საპროტესტო აქციას მართავდა, რაც სამართალდამცველებთან ხელჩართულ ჩხუბში გადაიზარდა.

მედიის ცნობით, პოლიციამ 47 ადამიანი დააკავა. ადგილზე, სადაც ინციდენტი მოხდა, დუნგანებისა და ჩინელების ეროვნული უმცირესობები ცხოვრობენ.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

## მამაკაცმა მშობლების გარდაცვალების შემდეგ ათი წელი გამოქვაბულში იცხოვრა



ინდონეზიელი მამაკაცი უკვე ათ წელზე მეტია, საცხოვრებლის დაკარგვის შემდეგ იძულებულია, გამოქვაბულში იცხოვროს.

დაახლოებით 10 წლის წინ 50 წლის ლა უდუ მშობლების გარდაცვალების შემდეგ ქუჩაში აღმოჩნდა. მას სახლის საყიდელი ფული არ ჰქონდა, ხოლო ნათესავების შეწუხება არ სურდა. ამიტომ გადაწყვიტა, კოკალუკუნის პლაჟის მახლობლად მდებარე ხეობაში დაედო ბინა.

გამოქვაბული, რომელშიც უდუ ცხოვრობს, კლდის შვერილის ქვეშ მდებარეობს, ასე რომ, მის დანახვა ძნელია. ინდონეზიელის თქმით, მას ჩვეულებრივ იმპროვიზებულ საწოლზე სძინავს, რომელიც დამტვრეული ნავის ნარჩენებისგან დაამზადა, ხოლო წყლის მოქცევის დროს გამოქვაბულის სიღრმეში ინაცვლებს.

– ღამღამობით აქ ძალიან ცივა. მარტო დარჩენის ძალიან მეშინია, მაგრამ განა სხვა გამოსავალი მაქვს? – განაცხადა ლა უდუმ.

მამაკაცი იკვებება ბატატით, თევზითა და კასოამით, ტრადიციული ინდონეზიური კერძით, რომელიც ფქვილისგან მზადდება. ზოგჯერ ის ბაზარში დაჭერილი თევზის ნაწილს ყიდის.

ლა უდუმ აღიარა, რომ მზად არის, გამოქვაბულში განმარტოებით ცხოვრება მიატოვოს, თუკი ვინმე მას საცხოვრებელ ბინას გამოუნახავს. მამაკაცის შესახებ ადგილობრივ პოლიციაში შეიტყვეს და დაჰპირდნენ, რომ მისთვის საცხოვრებელ ბინას გამონახავენ.

## პატიმარი შეცდომით გაათავისუფლეს და ისევ დააპატიმრეს



ამერიკის ოჰაიოს შტატის ხელისუფლებამ ციხიდან შეცდომით გაათავისუფლა პატიმარი, რომელსაც არც ისე დიდი ხნის წინ დამატებითი ბრალდებები წაუყენეს და შემდეგ მისი განმეორებით დაპატიმრება მოუხდათ.

31 წლის ტელეონ სტეფონ ბრაზილი მთელი რიგი ბრალდებებით დააპატიმრეს და გაასამართლეს, მათ შორის ძარცვის, მანქანის გატაცებისა და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონოდ შენახვისთვის. ის სასჯელს ოჰაიოს შტატის ერთ-ერთ ციხეში იხდიდა. იანვრის შუა რიცხვებში ოჰაიოს ხელისუფლების წარმომადგენლებმა პატიმარი ქალაქ პორტსმუთის შერიფის ოფისში გადაიყვანეს, სადაც ბრაზილს ნარკოტიკებთან დაკავშირებით დანაშაულის ჩადენის ახალი ბრალდება წაუყენეს. 21 იანვარს პოლიციელმა პატიმარი შეცდომით გაათავისუფლა გირაოს სანაცვლოდ. ის ნათესავებმა გამოიყვანეს და მიჩიგანის შტატის ქალაქ დეტროიტში წაიყვანეს.

30 იანვარს ოჰაიოს შტატის ხელისუფლებამ დაშვებული შეცდომის თაობაზე მიჩიგანის გამოსასწორებელი დაწესებულებების დეპარტამენტს აცნობა. სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლები ბრაზილის ოჯახს დაუკავშირდნენ და მისი ციხეში დაბრუნება მოითხოვეს, მაგრამ მან მათი მოთხოვნა არაფრად ჩააგდო.

1 თებერვალს ბრაზილი დეტროიტში მის საცხოვრებელ ადგილზე დააპატიმრეს. მას, შესაძლოა, განმეორებითი პატიმრობისთვის თავის არიდების მცდელობისთვის ახალი ბრალდება წაუყენონ.

## მონაზონ-პორნოვარსკვლავი სექსთოჯინების დასაფლავებით დაკავდა



იაპონიის ქალაქ ხიგასიოსაკაში სექსთოჯინების დამკრძალავი სააგენტო გაიხსნა. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ბრიტანული გამოცემა ავრცელებს.

ცრუმორწმუნე იაპონელები თვლიან, რომ ნებისმიერ თოჯინას აქვს სული და ამიტომ მათი უბრალოდ გადაგდება არ შეიძლება. ზოგიერთ სინტოისტურ ტაძრებში თოჯინებთან დამშვიდობების ცერემონიას ატარებენ, მაგრამ უმეტესად ის იაპონურ ტრადიციულ თოჯინებზე კეთდება, როგორიცაა, მაგალითად, ხინა-ნენგე, რომლითაც გოგონების მარტის დღესასწაულ ხინამაცურის აღნიშნავენ. კომპანია Human Love Doll Company-მ იაპონელებს ანალოგიური მომსახურების სექსთოჯინებზე ჩატარება შესთავაზა. სექსთოჯინების დაკრძალვის ცერემონიით პორნოვარსკვლავი რეი კატო იქნება დაკავებული, რომელიც, კომპანიის ვებგვერდის თანახმად, ამავდროულად, ბუდისტი მონაზონია. 50 ათას იენად სექსთოჯინისთვის გამართავენ პერსონალურ გამოსამშვიდობებელ და დაკრძალვის ცერემონიებს, ხოლო მისი მფლობელი მიიღებს დაკრძალვის სერტიფიკატსა და სამახსოვრო ფოტოსურათს ან ვიდეოს.

ცერემონიაზე სექსთოჯინის მფლობელის პირადად დასწრებისთვის 90 ათასი იენი იქნება გადასახდელი. ამ შემთხვევაში თოჯინას მისი მფლობელის თვალწინ საზეიმოდ დაანაწევრებენ, ხოლო ცერემონიის დროს გამოსამშვიდობებელ წერილს წაიკითხავენ. გარდა ამისა, მას, სურვილის შემთხვევაში, თოჯინის ერთ-ერთი ნაწილის თავისთან დატოვებაც შეეძლება.

დასაფლავების შემდეგ თოჯინას ნარჩენების გადამამუშავებელ ქარხანაში გადაგზავნიან. კომპანია, სექსთოჯინების გარდა, მზადაა, დასაფლავების ცერემონია ჩაუტაროს ჩვეულებრივ რბილ თოჯინებს. მსურველს მათი ფასის გაგება კომპანიის ვებგვერდზე შეეძლება.

## შიშველი დამლაგებლების უფროსი აიძულეს, გაეხადა და სახლები დაელაგებინა



კომპანიის მფლობელი, რომელიც მოსახლეობას შიშველი დამლაგებლების მომსახურების სერვისს სთავაზობს, აიძულეს, თავად გაეხადა და ხუთი სახლი დაელაგებინა.

ინგლისის დევონის საგრაფოს ქალაქ პლიმუთის მკვიდრი 33 წლის ნიკი ბელტონი ფირმა The Naked Cleaning Company-ს ხელმძღვანელობს. დამლაგებლები მისი კომპანიიდან სახლებს მხოლოდ საცვლებში გამოწყობილები ან სრულიად შიშვლები ალაგებენ. ბელტონის თქმით, ასეთი მომსახურება საათი 75-დან 95 ფუნტ სტერლინგამდე ღირს.

ქალის თქმით, სოციალური ქსელების ბევრი მომხმარებელი მას ბრალად სდებს, რომ ის თავად არ შეასრულებდა იმ სამუშაოს, რომელსაც მისი ხელქვეითები ასრულებენ.

– მე მინდა, მათ დავუმტკიცო, რომ ცდებიან. ამიტომ გადავწყვიტე, თავად დამელაგებინა ხუთი ბინა, – აღნიშნა ბელტონმა.

ბრიტანელმა ასევე ხაზგასმით აღნიშნა, რომ მისი კომპანიის თანამშრომლები ინტიმურ მომსახურებას არ უწევენ კლიენტებს. გარდა ამისა, სამუშაოს დაწყების მსურველებს დამლაგებლად მუშაობის გამოცდილება უნდა ჰქონდეთ, ხოლო მათი ასაკი 25 წელს უნდა აღემატებოდეს.

## ცნობილი მომღერალი გაღატაკდა და ცოცხლად დამარხვა ითხოვა



წარსულში ცნობილმა კენიელმა მომღერალმა სიღატაკისა და ავადმყოფობის გამო დაიჩივლა.

თავის დროზე ტაარაბას ვარსკვლავ მაულიდი ჯუმას სახელი მთელ კენიას აზანზარებდა. მისი სიმღერის მოსასმენად იპარებოდნენ ქორწილებში, სადაც ის გამოდიოდა. მას იწვევდნენ კენიის პრეზიდენტები დენიელ არაპ მოი და მვაი კიბაკი, ხოლო ნაირობის გუბერნატორმა მაიკა სონკომ ჯუბას მისთვის სიმღერის დაწერა სთხოვა.

სიბერეში მუსიკოსი გაღატაკდა და ახლა მას ყველაზე აუცილებელი საჭიროებისთვისაც კი არ ჰყოფნის ფული.

– მილიონერობას არ მოველოდი, მაგრამ ჩემს სიმღერებს რაღაც შემოსავალი მაინც უნდა მოეტანა ჩემთვის, – აცხადებს ჯუმა, – ცუდად ვხედავ, სიარული მიჭირს, სათვალე მჭირდება, მაგრამ მისი საყიდელი თანხა არ გამაჩნია.

მისი თქმით, ის სიღარიბეში ცხოვრებამ დაღალა და მზად არის, ცოცხლად დამარხონ.

## ინდოელებმა ოთხმეტრიან პითონს თაყვანი სცეს



ინდოეთის ტამილნადის შტატში ოთხმეტრიანი პითონი დაიჭირეს. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი საინფორმაციო სააგენტო ავრცელებს.

უზარმაზარი გველი, რომლის სიგრძემ 4,6 მეტრი შეადგინა, სოფელ მარაპატის ჭაში შენიშნეს. ადგილზე გამოძახების შემდეგ მისულმა სატყეო მეურნეობის თანამშრომლებმა ქვეწარმავალი წყლიდან ამოათრიეს და ტომარაში მოათავსეს, რათა ის შემდეგ დასახლებიდან უსაფრთხო ადგილას გადაეყვანათ და გაეშვათ.

გამომშვიდობებისას სოფლის მცხოვრებლებმა გადაწყვიტეს, პითონისთვის თაყვანი ეცათ, რომელსაც, მათი თქმით, ვნება არავისთვის მიუყენებია, მიუხედავად იმისა, რომ მათი სახლების ახლოს იყო დაბუდებული. ინუისტური ცერემონიის დროს გველს თავზე ქსოვილის ნაჭერი შეაბეს, თვალებს შორის წმინდა ვერმილიონი გაუკეთეს და ცეცხლით თაყვანისცემა შეასრულეს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


## განცხადებები

### ჯანმრთელობა, მკურნალობა

● სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 160 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98

● ფოტოსურათით მოგიხსნით ნეგატიური და ნერვული სტრესებით გამოწვეულ პრობლემებს: აგრესიას, აკვიატებას, ეჭვიანობას, შებოჭილობას, დეპრესიას, ძილში შფოთს, თვითმკვლელობის სურვილს, კოშმარულ სიზმრებს, პათოლოგიურ სიმთვრალეს, ოჯახურ პრობლემებს. ნუ დაელოდებით, თქვენ გარშემო მყოფი თავს როდის მოიკლავს ან ჩამოუყალიბდება შიზოფრენია. ჩვენ ხომ მისი გადარჩენა შეგვიძლია. მის: წერეთლის გამზ. №57, II სადარბაზო, II სართული, ოფისი №777. ტელ: 599-49-84-23, ნანა ქიბროწაშვილი, ფირმა „იადიგარ დაუდის“ დირექტორი.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

# ჯანო ანანიძე: „გადავწყვიტე, ყველაფერი სუფთა ფურცლიდან დამეწყო“

რუსეთში თამაშის პერიოდში ქართველი ფეხბურთელი **ჯანო ანანიძე** ინტერვიუებს ძალიან იშვიათად იძლეოდა, კვიპროსულ ანორთოსისში გადასვლის შემდეგ კი მალევე მისი მედიასთან საუბარი გამოქვეყნდა.

***– სპარტაკში მთავარი ვეტერანი იყავით. როდის მიხვდით, რომ ისტორია დასასრულს უახლოვდებოდა?***

– ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც მწვრთნელი კონონოვი იყო. მან სპარტაკში მოსვლისთანავე მითხრა, რომ მათამაშებდა. ვარჯიშს ვაგრძელებდი, მჯეროდა, რომ შემადგენლობაში ჩემს დაყენებას დაიწყებდნენ. დრო გადიოდა, ის კი მოედანზე არ მიშვებდა. ამასთან, ფორმაში ვიყავი და არაფერი მტკიოდა. მაშინ მივხვდი, რომ რაღაც უნდა გამეკეთებინა.

***– წახვედით გუნდიდან, სადაც თითქმის ცხოვრების ნახევარი გაატარეთ. ეს მტკივნეული გადაწყვეტილება იყო.***

– დიახ. ეს არ იყო ადვილი. სპარტაკმა ყველაფერი მომცა. 15 წლის ვიყავი, როდესაც სპარტაკში მივედი. ახლა ბევრს მეკითხებიან, თუ რატომ არ დავტოვე გუნდი უფრო ადრე. კონონოვამდე სპარტაკში მასიმო კარერა მუშაობდა, რომელიც იყო საუკეთესო მწვრთნელი, ვისთანაც სპარტაკში მიმუშავია. ჩვენ ჩემპიონები გავხდით, მე კი ძირითადში ვთამაშობდი და საკმაოდ კონკურენტუნარიანი ვიყავი. არასდროს არ ყოფილა შემთხვევა, ზედიზედ 3 მატჩში მოედანზე არ გავსულიყავი. კონონოვის დროს კი მივხვდი, რომ ყველაფერი ისე აღარ იქნებოდა. ამიტომ გადავწყვიტე, წავსულიყავი. რა უნდა გამეკეთებინა გუნდში, სადაც არ მენდობიან? წასვლა კი გადავწყვიტე, მაგრამ საინტერესო შემოთავაზება არ ყოფილა.

***– კონონოვის შემდეგ ხომ ტედესკო მივიდა?***

– ტედესკომ საყრდენის ზონაში დამაყენა. მთელი ცხოვრება „ათიანზე“ ან მარცხენა ჰავბეკად ვთამაშობდი და უცბად საყრდენად დამაყენეს. არც ეგაა პრობლემა, მაგრამ გვერდით „ძაღლი“ მჭირდებოდა, ისეთი, როგორიც ნაკრებში კანკავაა. ფეხბურთელი, რომელიც ცენტრში მეტოქეს ბურთს გამოგლეჯდა და შეტევის დაწყების შესაძლებლობა მომეცემოდა. სამწუხაროდ, ამჟამინდელ სპარტაკში ასეთი ფეხბურთელი არ იყო. ამ პოზიციაზე ორჯერ ვითამაშე და მივხვდი, რომ მიჭირდა. ჩემპიონატის პირველი ნაწილის დასრულებისას მე თვითონ მივედი ცორნთან და ვუთხარი – თავად მოვიძიებ ვარიანტებს, გამიშვით. ნურც მე მაწვალებთ და ნურც თქვენს თავს ნუ იწვალებთ. უკვე 27 წლის ვარ, სათადარიგოთა სკამზე ჯდომა არ მინდა. უნდა გადავწყვიტოთ, რა გავაკეთოთ მომავალში.

***– ალბათ იჯარით განათხოვრებამაც დაგღალათ და მიხვდით, რომ საერთოდ უნდა წასულიყავით.***

– დიახ. მესამედ იჯარით წასვლა არ მსურდა. ისიც ვიცოდი, როგორც არ უნდა მეთამაშა, სპარტაკში შანსი მაინც აღარ მექნებოდა.

***– ასე დარწმუნებით საიდან იცოდით?***

– თუნდაც იქიდან, რომ სპარტაკი 20-მილიონიან ფეხბურთელებს ყიდულობდა. ფასიდან გამომდინარე კი მათ მოედანზე მინიმუმ 10-12 მატჩი უნდა ეთამაშათ. ამის გამო ისეთი ფეხბურთელები იჩაგრებიან, რომლებიც გუნდში დიდი ხანია არიან. ეს ყველამ იცის და მსგავს სიტუაციაში ადრეც მოვხვედრილვარ. გადავწყვიტე, ყველაფერი სუფთა ფურცლიდან დამეწყო.

***– თქვენ ამ შემადგენლობიდან ვინმეზე დაბალი კლასის ფეხბურთელად თვლით თავს?***

– ეს ჩემი გადასაწყვეტი არაა. მოედანზე ყოველთვის ბოლომდე ვიხარჯებოდი. სპარტაკი ჩემთვის სპარტაკად რჩება. 15 წლის ასაკიდან, 10 წელი ამ გუნდის მაისურს ვატარებდი. ცოტა მეწყინა, როდესაც ლეონიდ ფედუნმა მითხრა, რომ გუნდის დონეს არ შევესაბამებოდი. მე ისტორიაში საუკეთესო სპარტაკის შემადგენლობაში ადგილისთვის ვიბრძოდი, როდესაც ჩემპიონატი და სუპერთასი მოვიგეთ. იქამდე კი ალექსსა და ველინგტონს ვუწევდი კონკურენციას. ის სპარტაკიც ჩემპიონობის პრეტენდენტი იყო, ამჟამინდელი კი მე-10 ადგილზეა და აქაც არ მათამაშებდნენ, გესმით? ეს იმას უნდა ნიშნავდეს, რომ ძალიან, ძალიან ცუდი ფეხბურთელი ვარ, მაგრამ მე ასე არ ვთვლი. მე არ შეიძლება ასე მოვუკლო.

***– გაქვთ იმის განცდა, რომ სპარტაკში თქვენი თავი ვერ წარმოაჩინეთ?***

– რა თქმა უნდა. ჩემთვის ყველაზე ცუდი რამ ტრავმები იყო, რის გამოც ბევრი გავაცდინე და ამან ჩემს კარიერაზე იმოქმედა. დარწმუნებული ვარ, სპარტაკიდან შემეძლო ტოპ-5 ლიგის გუნდში კარგ თანხად გადავსულიყავი და იქ მშვიდად მეთამაშა. ეს ჩემი ყველაზე დიდი ტკივილია

***– რას შეცვლიდით, უკან რომ დაბრუნდეთ?***

– ახლა ვხვდები, რომ ჩემი პრობლემა მოსკოვში იყო ის, რომ საკუთარი პირადი მწვრთნელი არ მყავდა.

***– გულშემატკივრებს კარგად ახსოვთ 2011 წელს თქვენი გატანილი გოლი ბაზელის კარში. ამ გოლით სპარტაკი ევროპის ლიგის მერვედფინალში გავიდა.***



– ეს გოლი ჩემთვისაც ძვირფასია. როდესაც ფედუნს ბოლოს ველაპარაკე, მანაც გაიხსენა და მადლობა გადამიხადა. მითხრა, რომ დღემდე ახსოვს ეს გოლი.

***– ახლა თქვენს ასპარეზობას კვიპროსში მივადევნებთ თვალს. მართლა, რატომ გაემგზავრეთ სწორედ იქ? ვიცი, მაგალითად, თქვენით ტამბოვი იყო დაინტერესებული.***

– ვერ ვიტყვი, რომ რიგი მედგა. კარგა ხანია, არ მითამაშია, ტრავმები მქონდა, თითქმის ერთი წელი გამიცდა. 2 ვარიანტი თურქეთიდან მქონდა, ისრაელიდანაც დამირეკეს, ბელგიიდან...

***– რუსეთში დარჩენა არ ისურვეთ, რადგან...***

– იმიტომ, რომ რაღაცის გამოცვლა იყო საჭირო. დარჩენის ვარიანტი არც განგვიხილავს. აქ 15 წლისა ჩამოვედი, ახლა კი 27 წლის ვარ. ჩემს წარმომადგენელს მაშინვე ვუთხარი – თუ სპარტაკიდან მივდივარ, რუსეთში დარჩენა არ მინდა. ანორთოსისი კი იმიტომ ავირჩიე, რომ ადაპტაცია გამიადვილდება. გუნდში 4 ქართველია, მწვრთნელიც ქართველია და მიცნობს. ყველაფრით დამეხმარნენ, ყველაფერი მანახეს, მომიყვნენ. ადამიანისთვის, რომელსაც დიდი ხანია არ უთამაშია, ადაპტაციის საკითხი ძალიან მნიშვნელოვანია. შესაგუებლად ზედმეტი დროის ხარჯვა არ არის საჭირო. ახლა ჩემთვის უპირველესი სათამაშო პრაქტიკაა. მალე ნაკრებს მნიშვნელოვანი მატჩები აქვს და არ მინდა მათი გაცდენა, ვინაიდან მზად არ ვარ.

***– იქ სათამაშო პრაქტიკა გარანტირებული გაქვთ?***

– კლუბის ხელმძღვანელობა დამპირდა, რომ ვითამაშებ. პირადად ქეცბაიამაც დამირეკა და მინდა, მადლობა გადავუხადო. ეს ნებისმიერი ახალწვეულისთვის მნიშვნელოვანია. შენ გესმის, რომ გუნდში შენი ყოფნა უნდათ. ჩემთვის ეს ბევრს ნიშნავდა. პლუს გუნდი პირველ ადგილზეა, კარგი ჩემპიონატია, ამინდი შესანიშნავი: ეს ისაა, რაც მოცემულ მომენტში მჭირდება.

***– კვიპროსში პირველივე მატჩში ძალიან უხეშად გეთამაშნენ. შეგეშინდათ?***

– 30 წუთი ვითამაშე, შესაგუებლად გავედი, ფორმის ასაკრეფად. ამ დროს კი უკნიდან ვარდნაში მეტოქე მეუხეშა, 3:0-ზე. რაღაც მსგავსი ევროპა ლიგაზე ვილიარეალთან მქონდა, იქაც მსაჯმა მოწინააღმდეგე გააძევა. მსგავსი რამ მეტად არ მახსენდება, რომ უკნიდან ვინმე ფეხებში ჩამხტომოდეს. დიახ, მტკივნეული იყო, თუმცა ეს ფეხბურთია. ფეხი მეტკინა, არაფერი სერიოზული. 3 დღე შემაწუხა და ახლა ყველაფერი ნორმალურადაა.

***– ვის და რა გინდათ დაუმტკიცოთ?***

– პირველ რიგში – საკუთარ თავს, რომ ახალ დონეზე შემიძლია გავიდე. ანორთოსისთან ერთად მინდა, ჩემპიონი გავხდე, ბევრი საგოლე პასი გავაკეთო, ბევრი გოლი გავიტანო. მაისამდე თავი მაქსიმალურად წარმოვაჩინო, რათა ჩემზე ისევ ალაპარაკდნენ. სინამდვილეში კვიპროსის ჩემპიონატი ყველაზე ადვილი არ არის. მალე ფლეი ოფები დაიწყება, რომელშიც მხოლოდ ტოპ 6-ის გუნდები მიიღებენ მონაწილეობას. აქედან ბევრი ბიჭი მიდის კარგ ჩემპიონატებში. როგორც კი საკუთარ თავს ყველაფერს დავუმტკიცებ, დანარჩენები ყველაფერს თვითონ მიხვდებიან.

## შედეგები

### 8 თებერვალი

**ფეხბურთი**

**ინგლისი. პრემიერლიგა**

ევერტონი-კრ.პალასი ..................... 3:1
ბრაიტონი-უოტფორდი ................. 1:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ლივერპული | 25 | 24 | 1 | 0 | 60-15 | 73 |
| 2.სიტი | 25 | 16 | 3 | 6 | 65-29 | 51 |
| 3.ლესტერი | 25 | 15 | 4 | 6 | 54-26 | 49 |
| 4.ჩელსი | 25 | 12 | 5 | 8 | 43-34 | 41 |
| 5.ტოტენჰემი | 25 | 10 | 7 | 8 | 40-32 | 37 |
| 6.შეფილდი | 25 | 9 | 9 | 7 | 26-23 | 36 |
| 7.ევერტონი | 26 | 10 | 6 | 10 | 34-38 | 36 |
| 8.მანჩესტერი | 25 | 9 | 8 | 8 | 36-29 | 35 |
| 9.ვულვზი | 25 | 8 | 11 | 6 | 35-32 | 35 |
| 10.არსენალი | 25 | 6 | 13 | 6 | 32-34 | 31 |
| 11.ბარნლი | 25 | 9 | 4 | 12 | 28-38 | 31 |
| 12.ნიუკასლი | 25 | 8 | 7 | 10 | 24-36 | 31 |
| 13.საუთჰემპტონი | 25 | 9 | 4 | 12 | 31-46 | 31 |
| 14.კრ.პალასი | 26 | 7 | 9 | 10 | 23-32 | 30 |
| 15.ბრაიტონი | 26 | 6 | 9 | 11 | 31-38 | 27 |
| 16.ბორნმუთი | 25 | 7 | 5 | 13 | 25-38 | 26 |
| 17.ასტონ ვილა | 25 | 7 | 4 | 14 | 32-47 | 25 |
| 18.ვესტ ჰემი | 25 | 6 | 6 | 13 | 30-43 | 24 |
| 19.უოტფორდი | 26 | 5 | 9 | 12 | 24-40 | 24 |
| 20.ნორვიჩი | 25 | 4 | 6 | 15 | 24-47 | 18 |

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

უიგანი-პრესტონი ......................... 1:2
ბარნსლი-უენსდი ........................ 1:1
ბლექბერნი-ფულემი ...................... 0:1
ბრენტფორდი-მიდლზბრო ............. 3:2
ლუთონი-კარდიფი ........................ 0:1
რედინგი-ჰალი .............................. 1:1
სტოკი-ჩარლტონი ......................... 3:1
სუონსი-დერბი .............................. 2:3
ჰადერსფილდი-ქპრ ....................... 2:0
ნოტინგემი-ლიდსი ........................ 2:0

**გერმანია. ბუნდესლიგა**

ვერდერი-უნიონი .......................... 0:2
ვოლფსბურგი-ფორტუნა ................ 1:1
ჰერტა-მაინცი ................................ 1:3
ფრაიბურგი-ჰოფენჰაიმი ............... 1:0
შალკე-პადერბორნი ....................... 1:1
ლევერკუზენი-დორტმუნდი ........... 4:3

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 20 | 13 | 3 | 4 | 58-23 | 42 |
| 2.ლაიფციგი | 20 | 12 | 5 | 3 | 53-25 | 41 |
| 3.დორტმუნდი | 21 | 11 | 6 | 4 | 59-32 | 39 |
| 4.გლადბახი | 20 | 12 | 3 | 5 | 38-23 | 39 |
| 5.ლევერკუზენი | 21 | 11 | 4 | 6 | 35-27 | 37 |
| 6.შალკე | 21 | 9 | 8 | 4 | 32-27 | 35 |
| 7.ჰოფენჰაიმი | 21 | 10 | 3 | 8 | 31-32 | 33 |
| 8.ფრაიბურგი | 21 | 9 | 5 | 7 | 30-30 | 32 |
| 9.აინტრახტი | 21 | 8 | 4 | 9 | 36-31 | 28 |
| 10.ვოლფსბურგი | 21 | 7 | 7 | 7 | 25-26 | 28 |
| 11.უნიონი | 21 | 8 | 2 | 11 | 25-32 | 26 |
| 12.აუგსბურგი | 21 | 7 | 5 | 9 | 33-44 | 26 |
| 13.კიოლნი | 20 | 7 | 2 | 11 | 27-38 | 23 |
| 14.ჰერტა | 21 | 6 | 5 | 10 | 25-37 | 23 |
| 15.მაინცი | 21 | 7 | 0 | 14 | 31-48 | 21 |
| 16.ფორტუნა | 21 | 4 | 5 | 12 | 20-42 | 17 |
| 17.ვერდერი | 21 | 4 | 5 | 12 | 25-48 | 17 |
| 18.პადერბორნი | 21 | 4 | 4 | 13 | 26-45 | 16 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

ჰამბურგი-კარლსრუე .................... 2:0
ოსნაბრიუკი-ნიურნბერგი ............. 0:1
შტუტგარტი-აუე ............................ 3:0

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

ლევანტე-ლეგანესი ....................... 2:0
ხეტაფე-ვალენსია .......................... 3:0
ვალიადოლიდი-ვილიარეალი ........ 1:1
ატლეტიკო-გრანადა ...................... 1:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.რეალი | 22 | 14 | 7 | 1 | 40-13 | 49 |
| 2.ბარსელონა | 22 | 14 | 4 | 4 | 52-26 | 46 |
| 3.ხეტაფე | 23 | 12 | 6 | 5 | 35-20 | 42 |
| 4.ატლეტიკო | 23 | 10 | 9 | 4 | 23-15 | 39 |
| 5.სევილია | 22 | 11 | 6 | 5 | 28-21 | 39 |
| 6.ვალენსია | 23 | 10 | 7 | 6 | 33-32 | 37 |
| 7.ვილიარეალი | 23 | 10 | 5 | 8 | 40-31 | 35 |
| 8.სოსიედადი | 22 | 10 | 4 | 8 | 37-30 | 34 |
| 9.ბილბაო | 22 | 7 | 10 | 5 | 22-17 | 31 |
| 10.გრანადა | 23 | 9 | 3 | 11 | 27-30 | 30 |
| 11.ოსასუნა | 22 | 6 | 10 | 6 | 29-28 | 28 |
| 12.ბეტისი | 22 | 7 | 7 | 8 | 30-34 | 28 |
| 13.ალავესი | 23 | 7 | 6 | 10 | 25-33 | 27 |
| 14.ლევანტე | 22 | 8 | 2 | 12 | 27-34 | 26 |
| 15.ვალიადოლიდი | 23 | 5 | 11 | 7 | 19-25 | 26 |
| 16.ეიბარი | 23 | 6 | 6 | 11 | 22-32 | 24 |
| 17.მალიორკა | 22 | 5 | 3 | 14 | 22-38 | 18 |
| 18.ლეგანესი | 23 | 4 | 6 | 13 | 18-38 | 18 |
| 19.სელტა | 22 | 3 | 8 | 11 | 17-31 | 17 |
| 20.ესპანიოლი | 22 | 3 | 6 | 13 | 18-40 | 15 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

ხირონა-უესკა ................................ 1:0
ესტრემადურა-ტენერიფე .............. 2:4
ლას პალმასი-კადისი .................... 1:2
სარაგოსა-ფუელაბრანდა ............... 0:0

**იტალია. სერია ა**

ფიორენტინა-ატალანტა ............... 1:2
ტორინო-სამპდორია ..................... 1:3
ვერონა-იუვენტუსი ....................... 2:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 23 | 17 | 3 | 3 | 44-23 | 54 |
| 2.ინტერი | 22 | 15 | 6 | 1 | 44-18 | 51 |
| 3.ლაციო | 22 | 15 | 5 | 2 | 52-20 | 50 |
| 4.ატალანტა | 23 | 12 | 6 | 5 | 61-31 | 42 |
| 5.რომა | 23 | 11 | 6 | 6 | 42-30 | 39 |
| 6.ვერონა | 23 | 9 | 7 | 7 | 28-24 | 34 |
| 7.ბოლონია | 23 | 9 | 6 | 8 | 37-36 | 33 |
| 8.კალიარი | 22 | 8 | 8 | 6 | 38-34 | 32 |
| 9.პარმა | 22 | 9 | 5 | 8 | 31-29 | 32 |
| 10.მილანი | 22 | 9 | 5 | 8 | 23-27 | 32 |
| 11.ნაპოლი | 22 | 8 | 6 | 8 | 34-31 | 30 |
| 12.ტორინო | 23 | 8 | 3 | 12 | 27-42 | 27 |
| 13.სასუოლო | 22 | 7 | 5 | 10 | 36-37 | 26 |
| 14.ფიორენტინა | 23 | 6 | 7 | 10 | 26-34 | 25 |
| 15.უდინეზე | 22 | 7 | 3 | 12 | 19-35 | 24 |
| 16.სამპდორია | 23 | 6 | 5 | 12 | 25-38 | 23 |
| 17.ლეჩე | 22 | 4 | 7 | 11 | 27-42 | 19 |
| 18.ჯენოა | 22 | 3 | 7 | 12 | 23-43 | 16 |
| 19.ბრეშა | 22 | 4 | 3 | 15 | 20-41 | 15 |
| 20.სპალი | 22 | 4 | 3 | 15 | 16-38 | 15 |

**იტალია. სერია ბ**

ვენეცია-ფროზინონე ..................... 0:1
კროტონე-კრემონეზე .................... 1:0
პორდენონე-ლივორნო .................. 2:2
ჩიტადელა-ემპოლი ...................... 1:2
პერუჯა-სპეცია ............................. 0:3

**საფრანგეთი. 1 ლიგა**

მარსელი-ტულუზა ........................ 1:0
ამიენი-მონაკო .............................. 1:2
დიჟონი-ნანტი ............................... 3:3
მეცი-ბორდო ................................. 1:2
ნიცა-ნიმი ...................................... 1:3
რენი-ბრესტი ................................. 0:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 23 | 19 | 1 | 3 | 59-15 | 58 |
| 2.მარსელი | 24 | 14 | 7 | 3 | 33-21 | 49 |
| 3.რენი | 24 | 12 | 5 | 7 | 29-22 | 41 |
| 4.ლილი | 24 | 12 | 4 | 8 | 29-25 | 40 |
| 5.მონაკო | 24 | 10 | 5 | 9 | 40-40 | 35 |
| 6.მონპელიე | 23 | 9 | 7 | 7 | 31-27 | 34 |
| 7.ბორდო | 24 | 9 | 7 | 8 | 33-26 | 34 |
| 8.ლიონი | 23 | 9 | 6 | 8 | 35-21 | 33 |
| 9.რეიმსი | 23 | 8 | 9 | 6 | 22-16 | 33 |
| 10.ნიცა | 24 | 9 | 6 | 9 | 34-34 | 33 |
| 11.სტრასბური | 23 | 10 | 3 | 10 | 28-28 | 33 |
| 12.ნანტი | 24 | 10 | 3 | 11 | 25-27 | 33 |
| 13.ანჟე | 24 | 8 | 6 | 10 | 24-32 | 30 |
| 14.ბრესტი | 24 | 7 | 9 | 8 | 29-31 | 30 |
| 15.სტ.ეტიენი | 23 | 8 | 4 | 11 | 25-37 | 28 |
| 16.მეცი | 24 | 6 | 9 | 9 | 24-32 | 27 |
| 17.დიჟონი | 24 | 6 | 7 | 11 | 22-29 | 24 |
| 18.ნიმი | 24 | 6 | 6 | 12 | 24-37 | 24 |
| 19.ამიენი | 24 | 4 | 8 | 12 | 25-43 | 20 |
| 20.ტულუზა | 24 | 3 | 4 | 17 | 21-49 | 13 |

**საფრანგეთი. მე-2 ლიგა**

გენგამი-ლორიანი ......................... 2:1

**ნიდერლანდები. ეჰედივიზიონი**

გრონინგენი-ვიტესი ...................... 1:0
პსვ-ტილბურგი .............................. 3:0
ჰერენვენი-ვენლო ......................... 1:1
ვალვაიკი-ზვოლე .......................... 0:0

**პორტუგალია. პრიმეირა ლიგა**

ბელენენსეში-სანტა კლარა ............ 0:2
ფამილიკაო-გიმარაეში .................. 0:7
ბრაგა-ჟილ ვისენტე ....................... 2:2
პორტუ-ბენფიკა ............................ 3:2

**შვეიცარია. სუპერლიგა**

ციურიხი-ბაზელი .......................... 0:4
იანგ ბოიზი-სიონი ........................ 1:0

**ბელგია. ა დივიზიონი**

შარლერუა-ვარეგემი ..................... 4:0
სტ.ტრუიდენი-ეუპენი .................... 5:2
სერკლი-მეხელენი ......................... 3:2
მუსკრონი-ესტენდე ....................... 3:1

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

პანიონიოსი-ქსანთი ...................... 0:0
ლამია-ლარისა .............................. 0:0

**თურქეთი. სუპერლიგა**

ქონია-დენიზლი ............................ 0:0
ბეშიქთაში-გაზიანთეპი ................. 3:0
გენჩლერი-ტრაბზონი ..................... 0:2
ფენერბახჩე-ალანია ...................... 1:1

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

კორონა-გურნიკი ........................... 0:0
ლეხი-ჩენსტოხოვა ........................ 3:0
ვისლა-იაგელონია ......................... 3:0

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

## სამგლოვიარო განცხადებები

სკოლის მეგობრები: ირაკლი მეგრელაძე, ელდარ ფხაკაძე, ქუჩი სხირტლაძე, გოგი სიხარულიძე, ილური ჯაჯანაშვილი, მაიკო შვანგირაძე, ნელი მახაშვილი, ლონდა მამულაიშვილი, ნიკოლოზ იოსებიძე, ავთო შენგელია, იასონ გრიგოლია, მერაბ ნიკოლაიშვილი, მიხეილ ესაკია, საბა ჭელიძე, ანზორ ახვლედიანი, ზურაბ ამაშუკელი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ყოფილი თანაკლასელი

**ნუგზარ იასონის ძე იზორია**

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახის წევრებს.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

## ჩოგბურთელი ქალები პირველ დივიზიონში აღზევდნენ

ქალთა საჩოგბურთო ნაკრებმა ჰელსინკიში დასრულებული ფედერაციის თასის ევროაფრიკული ზონის მეორე ჯგუფის მატჩები ერთი ამოსუნთქვითა და დაუმარცხებლად განვლო.

ეკატერინე გორგოძემ, მარიამ ბოლქვაძემ, ოქსანა კალაშნიკოვამ, ზოია ქარდავამ და მარიამ დალაქიშვილმა მაკა ჩახნაშვილის კაპიტნობით ზედიზედ 4 მატჩი მოიგეს და პირველ დივიზიონში აღზევდნენ, იქ, სადაც დიდი ხნის განმავლობაში იმყოფებოდნენ და შარშან დაქვეითდნენ.

ფედერაციის თასის 2019 წლის ტურნირზე, ინგლისის ქალაქ ბათში, ქართველი გოგონები მოწოდების სიმაღლეზე ვერ გამოიყურებოდნენ და ქვედა ლიგაშიც ჩაინაცვლეს, მაგრამ ამან დიდხანს არ გასტანა და დაკარგული წლეულს აინაზღაურეს.

ფინეთის დედაქალაქში ისრაელის, მოლდოვისა და ტუნისის დამარცხების შემდეგ ქართველ ჩოგბურთელებს მთავარი დაპირისპირება მასპინძლებთან ელოდათ, რომლის გამარჯვებულსაც უნდა გაერკვია, თუ ვინ იყო პირველი დივიზიონის ღირსი. მატჩი საქართველოს ნაკრებისთვის ცუდად დაიწყო, რადგან ეკა გორგოძემ ანასტასია კულიკოვასთან 2:6, 4:6 წააგო, თუმცა მარიამ ბოლქვაძემ ონდა ოპრანას 7:5, 6:4 ძლევით საერთო ანგარიში გაათანაბრა. გამარჯვებული კი წყვილთა თანრიგს უნდა გამოევლინა, სადაც გორგოძე-კალაშნიკოვამ ჰეიტანარნა-კულიკოვას 6:4, 6:3 მოუგო.

## მანინო ტორპედოში ინვესტიციითა და აშვეთიათი მივიდა

საფეხბურთო კლუბ ქუთაისის ტორპედოს ახალმა მფლობელმა ფაბრიციო მანინომ რამაზ შენგელიას სახელობის სტადიონზე პრესკონფერენცია გამართა. იტალიელმა განაცხადა, რომ კლუბი ფეხბურთელთა და კლუბის თანამშრომელთა მიმართ არსებულს დავალიანებას აუცილებლად დაფარავს. მანინოს განცხადებით, მისმა კომპანიამ ტორპედოში უკვე განახორციელა 1.700.000 ლარის ინვესტიცია.

**ფაბრიციო მანინო:**

– მოლაპარაკებები ტორპედოს შეძენასთან დაკავშირებით 3 თვის წინ დავიწყეთ და ყველაფერი კარგად დასრულდა. სამწუხაროდ, სეზონის დაწყებამდე არც ისე დიდი დროა დარჩენილი და სათანადოდ დაკომპლექტება გაგვიჭირდება. ვესაუბრე მწვრთნელებს, გუნდს არსებული რესურსიდან გამომდინარე დავაკომპლექტებთ და სეზონს დავიწყებთ, შემდეგ ეტაპობრივად გავძლიერდებით. ჩემს პარტნიორებთან ერთად ბიზნესგეგმაზე ვმუშაობ, რომელსაც მომდევნო ერთი თვის განმავლობაში წარმოგიდგენთ. ვაპირებ ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას, კლუბს ელემენტარული სავარჯიშო დარბაზი არ აქვს და ეს პრობლემაა. ბაზა აუცილებლად გაუმჯობესდება, იქნება საცურაო აუზი და ბევრი სხვა რამ, ამას თქვენი თვალით მალე ნახავთ! რაც შეეხება სტადიონს, როგორც ქალაქის ხელმძღვანელობამ მითხრა, სახელმწიფოს მიერ გამოყოფილია თანხები და უკვე მიმდინარეობს სამუშაოები.

მანინომ ასევე დაადასტურა, რომ კლუბი ახალი სეზონისთვის მზადებას მიხეილ აშვეთიას ხელმძღვანელობით დაიწყებს.

**მიხეილ აშვეთია:**

– გილოცავთ ტორპედოს გადარჩენას. ამდენი ნეგატიური ამბის შემდეგ ეს მართლაც სასიხარულო რამაა. პრეზიდენტმაც აღნიშნა, რომ მცირე დრო გვაქვს და ყველა უნდა ვეცადოთ, 1 მარტს კონკურენტუნარიანი გუნდით შევხვდეთ. ვაწარმოებთ მოლაპარაკებას ქართველ ფეხბურთელებთან, გავდივართ კონსულტაციებს ლეგიონერებთან დაკავშირებით. რომ გითხრათ, პირველ მარტს 100%-ით მომზადებულები შევხვდებით, ტყუილი გამომივა, მაგრამ ბირთვს ჩამოვაყალიბებთ და, როგორც უკვე ითქვა, ეტაპობრივად გუნდს უფრო განვავითარებთ.

შეგახსენებთ, 2019 წლის სეზონში ტორპედო მძიმე ფინანსურ კრიზისში აღმოჩნდა, რასაც კლუბის მფლობელის, ზაალ ჩაჩავას კლუბიდან წასვლა მოჰყვა. ამავე მიზეზით ტორპედო თითქმის სრულად დატოვეს ფეხბურთელებმა და მთავარმა მწვრთნელმა კახა ჩხეტიანმა.

ტორპედოში აშვეთიას ვასილ გიგიაძე დაეხმარება. შეგახსენებთ, რომ ჩხეტიანის მწვრთნელობისას აშვეთია და გიგიაძე სამწვრთნელო შტაბში მუშაობდნენ.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


10 თებერვალი

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი — 2.8629 | ევრო — 3.1354 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.7009 | 100 რუსული რუბლი — 4.4852 |

## ამინდის პროგნოზი 10 თებერვლისთვის








11 თებერვლიდან

კორნელი ბოროზდინი

სამეგრელო და სვანეთი

ფასი გაზეთთან ერთად 14 ლარი


## პოპულარული ბრენდის მოდელები გადამეტებული სექსუალურობისთვის გააკრიტიკეს



პოპულარული ბრიტანული ბრენდის Pretty Little Thing-ს მოდელების ფოტოსესია სოციალურ ქსელებში გადამეტებული სექსუალურობისთვის გააკრიტიკეს.

მუდმივმა მყიდველმა რებეკა ესონმა ფეისბუქში პოპულარული მაღაზიის გვერდზე დაწერა კომენტარი, რომელშიც მან ბრენდს უხამსი ფოტოების გამოქვეყნება დასდო ბრალად.

26 წლის ესონი იმის გამო აღშფოთდა, რომ მოდელები ბრენდის პროდუქციას ეროტიკულ პოზებში უწევენ რეკლამას.

– შემოწმება მომიხდა, შოპინგის დროს შემთხვევით პორნო ვებგვერდზე ხომ არ ვიყავი შესული, – დაწერა გოგონამ.

– იმის მაგივრად, ვუყურებდე, თუ როგორ გამოიყურება სამოსი მოდელის ტანზე, მის ფეხებს შორის ნაწილს ვხედავ, ვინაიდან ის მუხლებზე ფართოდ ფეხებგაჩაჩხული დგას. ნუთუ ჯინსების რეკლამისთვის აუცილებელია, მოდელი წელს ზევით შიშველი იყოს? – დაწერა კომენტარში ესონმა.

## იუმორი

ცოლი ქმარს ეჩხუბება:

– დავიღალე, ყოველდღე მთვრალი მოდიხარ. ერთი დღე მაინც მოსულიყავი სახლში ფხიზელი, სადღესასწაულოდ ინდაურს დავკლავდი, საცივს გავაკეთებდი...

მეორე დღეს ეზოში გასული ცოლი ხედავს, მთვრალი ქმარი ინდაურს ეხუტება და ეუბნება:

– ნუ გეშინია, შენ კიდევ დიდხანს იცოცხლებ...

•••

შვილი მამას ეუბნება:

– მამა, ამ საღამოს შენი მანქანა გვათხოვე მე და ჩემს მეგობარ გოგონას, რა.

– კარგი, მხოლოდ ბენზინი არ ასხია.

– არც გვჭირდება.

•••

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეკითხება:

– რით განსხვავდებიან ცივილიზებული ადამიანები ველურებისგან?

– ცივილიზებული ადამიანები ეპიდემიის დროს პირბადეებს უფასოდ არიგებენ, ველურები კი ფასს უმატებენ.

•••

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

– რატომ ფასობს სპერმა სპერმის ბანკში უფრო ძვირად, ვიდრე სისხლი სისხლის ბანკში?

– იმიტომ, რომ ხელით ნამუშევარია...

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ელისო ვირსალაძემ ხატია ბუნიათიშვილს საშინელება უწოდა



ცნობილმა ქართველმა პიანისტმა ელისო ვირსალაძემ თავის უმცროს კოლეგას, პიანისტ ხატია ბუნიათიშვილს საშინელება უწოდა.

ელისო ვირსალაძემ მონაწილეობა მიიღო ერთ-ერთ რუსულ გადაცემაში, სადაც წამყვანის მიერ დასმულ შეკითხვებს უპასუხა. როდესაც ჯერი პიანისტების შეფასებაზე მიდგა, სტუმარმა განაცხადა, რომ დიპლომატიას გამოიჩენდა.

პირველივე კითხვა ხატია ბუნიათიშვილს შეეხებოდა, რომელიც ელისო ვირსალაძემ ასე შეაფასა:

– საშინელებაა! რა თქმა უნდა, ის ნიჭიერი ადამიანია, მაგრამ, რასაც აკეთებს, საშინელებაა. მას ნამდვილი განათლება აკლია. დღეს ეს ნამდვილად არ მაკვირვებს, რადგან ასე ბევრი უკრავს.

## ნათია თოდუამ რუმინეთში გაიმარჯვა




გერმანული „ვოისის“ გამარჯვებულმა და „საქართველოს ვარსკვლავის“ ჟიურის უცვლელმა წევრმა ნათია თოდუამ რუმინეთში გამართულ საერთაშორისო ფესტივალში გაიმარჯვა.

მისმა სიმღერამ „ლავ ლეთერ“ (სიყვარულის წერილი) და ამ სიმღერაზე შექმნილმა ვიდეორგოლმა კონკურსანტთა შორის ყველაზე მეტი ხმა დააგროვა და ფესტივალის ორი ნომინაციაც დაიმსახურა.

## ფრიდონ ნიჟარაძის ნამუშევრები სანკტ-პეტერბურგში გამოიფინება



უშგულელი მხატვრის ფრიდონ ნიჟარაძის ნამუშევრები თბილისის შემდეგ უკვე სანკტ-პეტერბურგში გამოიფინება.

14 თებერვლიდან ხელოვანის ნამუშევრების დათვალიერების საშუალება უფრო მეტ ადამიანს მიეცემა. ქართველ სალვადორ დალიდ წოდებული მხატვარი თავის ნამუშევრებს უცხოეთში პირველად გამოფენს. მისი პირველი პერსონალური გამოფენა თბილისში სულ რამდენიმე თვის წინ მოეწყო.

ფრიდონ ნიჟარაძე და მისი შემოქმედება ბევრისთვის სრულიად უცნობია, თუმცა მას კარგად იცნობენ ის ქართველები და უცხოელი ტურისტები, რომლებიც ერთხელ მაინც მოხვედრილან უშგულში და ამ დიდებული სვანი მხატვრის ნამუშევრები უნახავთ.

მასზე ბევრჯერ დაუწერიათ უცხოელებს, ბევრი სიუჟეტი მიუძღვნიათ საქართველოშიც, რადგან სვანეთის ერთი პატარა სოფლის პატარა სახლში ნამდვილი საგანძურია გამოკეტილი.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## უმადური დედა სპილო სპლიყვის მხსნელებს თავს დაესხა



ინდოეთის ასამის შტატში უმადური დედა სპილო თავს დაესხა და გამოედევნა ადამიანებს, რომლებიც მის ნაშიერს დაეხმარნენ. ამის ამსახველი თვითმხილველის მიერ გადაღებული კადრები ერთ-ერთმა საინფორმაციო სააგენტომ გამოაქვეყნა. ადგილობრივი მცხოვრებლები და სატყეო მეურნეობის თანამშრომლები ცდილობდნენ, ლოდებს შორის ჩაჭედილ სპლიყვს დახმარებოდნენ. როდესაც მათ პატარა ცხოველის გათავისუფლება მოახერხეს, დედა სპილო მათ თავს დაესხა.

ადამიანები იძულებულნი გახდნენ, თავისთვის გაქცევით ეშველათ. შედეგად ერთ-ერთი მათგანი, რომელსაც სპილო მისდევდა, თხრილში ჩავარდა და დაშავდა. ის, იმის გამო, რომ სიარულს ველარ ახერხებდა, თანასოფლელებმა სახლში ხელით წაიყვანეს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## საქართველოს მორაგბეთა ნაკრებმა ესპანეთი დაამარცხა



გუშინ, 9 თებერვალს, საქართველოს მორაგბეთა ეროვნულმა ნაკრებმა ესპანეთის ეროვნული გუნდი მადრიდში 23:10 დაამარცხა.

პირველი ტაიმი ქართველებმა ესპანელებს 23:5 მოუგეს, მეორე ნახევარში კი მათ ქულა არ აუღიათ. ესპანელებმა 5 ქულა აიღეს, მაგრამ ეს საკმარისი არ გამოდგა.

ქართველებმა რაგბის ევროპის ჩემპიონატის 2020 წლის გათამაშებაზე მეორე შეხვედრა გამართეს და ორივე მატჩი გამარჯვებით დაასრულეს.

მომდევნო მატჩს ბორჯღალოსნები ბელგიის ეროვნული ნაკრების წინააღმდეგ 22 თებერვალს სამშობლოში გამართავენ.

## ძუ ლომმა ბოკვერებთან ერთად ხუთი წლის ბავშვი დაგლიჯა



ინდოეთის გუჯარათის შტატში ძუ ლომმა ხუთი წლის ბავშვი მოკლა.

ძუ ლომი ბოკვერებთან ერთად გირსის ტყიდან დაახლოებით შუაღამისას მივიდა დასახლებაში. მტაცებლებმა ბავშვი ქოხიდან, რომელიც ყანაში იდგა და სადაც ის მშობლებთან ერთად ცხოვრობდა, გაიტაცეს და დაგლიჯეს.

– ძუ ლომმა და მისმა ნაშიერებმა ბავშვი დაგლიჯეს, – განაცხადა ადგილობრივი სატყეო მეურნეობის წარმომადგენელმა, – მოგვიანებით შემოგარენში მისი სხეულის ნაფლეთებს მივაგენით.

მტაცებლების თავდასხმის ადგილის ირგვლივ ხაფანგები დააგეს. მანამდე ძუ ლომი ბოკვერებთან ერთად გირსის ტყის განაპირას შენიშნეს. ვიდეომ, რომელზეც ასახულია, თუ როგორ უთმობს მტაცებელი გზას მოტოციკლისტს, დიდი პოპულარობა მოიპოვა სოციალურ ქსელებში. ახლა ის არის დასადგენი, ეს ის მტაცებელი იყო თუ არა, რომელმაც ბავშვი დაგლიჯა.

## ლეოპარდმა ჩაძინებულ ნიანგს ანტილოპის ხორცი პირიდან გამოსტაცა



ზამბიის სამხრეთ ლუანგვას ეროვნულ პარკში ლეოპარდმა ანტილოპის ფეხი ნიანგს ყბებიდან გამოსტაცა და ნადავლთან ერთად მიიმალა.

29 წლის ლონდონელმა ნიკოლ დანგურმა, რომელიც ველურ ბუნებაზე დოკუმენტური ფილმების გადაღებით არის დაკავებული, ლეოპარდისა და ნიანგის დაპირისპირების სცენა ვიდეოზე საფარი-კოტეჯის მახლობლად მდებარე მდინარესთან გადაიღო. ის რამდენიმე საათის განმავლობაში ადევნებდა თვალს ნადავლის გამო დაპირისპირებულ მტაცებლებს.

ვიდეოჩანაწერში ჩანს, თუ როგორ მიცოცავს საკუთარი სიცოცხლის რისკის ფასად მშიერი ლეოპარდი ძილ-ბურანში მყოფი ნიანგისკენ და თათით ებღაუჭება რეპტილიის ყბებიდან გამოჩრილ მკვდარი ანტილოპის ხორცის ნაჭერს. მას შემდეგ, რაც დარწმუნდება, რომ ნიანგი მის ქმედებაზე არ რეაგირებს, მის ყბებთან უფრო თამამად მიდის და ანტილოპის ფეხს გამოსტაცებს.

ამ დროს რეპტილიამ თვალები გაახილა, თუმცა არც კი განძრეულა და ლეოპარდმა მშვიდობიანად მოახერხა ნადავლთან ერთად გაუჩინარება.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ასტროპროგნოზი

### 10 თებერვლისთვის



**ვერძი** – კეთილისმყოფელი დღეა. პლანეტები თქვენ მიმართ კეთილგანწყობილი არიან. კოლეგებთან, მეგობრებთან და ნათესავებთან საუკეთესო ურთიერთობა გაქვთ. მოსალოდნელია რომანტიკული ნაცნობობა. **კურო** – მთლიანობაში, თქვენი მატერიალური მდგომარეობა სტაბილურია. ელოდეთ ძვირფას სტუმრებს. მეორე ნახევარი თქვენით ამაყობს. **ტყუპები** – ენერგიულად ხართ. კარგი პერიოდია ძველ მეგობრებთან შესახვედრად, სამოგზაუროდ. რასაც ჩაიფიქრებთ, ყველაფრის რეალიზებას მოახერხებთ. **კირჩხიბი** – შემოქმედებითი დღეა. წარმატებული პერიოდია გეგმების განსახორციელებლად. ახლობლებს მრავალ ბედნიერ წუთს აჩუქებთ. **ლომი** – შესაძლებლობა გეძლევათ, ახალი საინტერესო ადამიანები გაიცნოთ. მათთან ურთიერთობა სასიკეთოდ წაგადგებათ. დაიცავით კვების რეჟიმი. **ქალწული** – ნუ გადაიღლებით. ეს თქვენი ჯანმრთელობისათვის სახიფათოა. ახალი საქმის დაწყება არ ღირს. იყავით თავდაჯერებული და იმ სიძნელეებს არ შეუშინდეთ, რომლებიც დღეს შეგხვდებათ. **სასწორი** – მიუხედავად უსიამოვნო სიურპრიზებისა, ბეჯითად იმუშავეთ. ახლობელთან კონფლიქტის მოგვარებასაც შეძლებთ. ყური უგდეთ ჭკვიანი ადამიანების რჩევებს. **ღრიანკალი** – მშვიდი და პასიური დღეა. გუნდური მუშაობა წარმატებული იქნება. ნუ ეცდებით, იყოთ ორიგინალური. თავმდაბლად იშრომეთ.**მშვილდოსანი** – იმედები გაგიმართლებთ, განსაკუთრებით მოგზაურობისას და მივლინებისას. იყავით ინიციატივიანი და ხელმძღვანელობა ამას დაგიფასებთ. ახალი იდეების განხორციელებას დღესვე შეუდექით.**თხის რქა** – მომავალი თამამად დაგეგმეთ. ბედი გწყალობთ. წარმატებული დღე გაქვთ. საყვარელ ადამიანს მეტი ყურადღება დაუთმეთ. **მერწყული** – წინააღმდეგობრივი დღეა. ძველ მეგობრებთან შეხვედრა ძალიან გაგახარებთ. ფინანსებს გაუფრთხილდით. საყიდლებზე წასვლა რეკომენდებული არ არის. **თევზები** – იზრდება შრომის ნაყოფიერება. იზრუნეთ საკუთარ იმიჯზე, იყავით პრინციპული, თუმცა გონივრულ კომპრომისზე წასვლაც არ დაგაზარალებთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი

**თარაზულად:** 1. ბავშვების საყვარელი ტყუილი; 5. ღმერთების ხელმწიფე ვედიზმის მიხედვით; 7. კლასიკური ჭიდაობის ილეთი; 9. სამაგიეროს გადახდა; 10. ცალთვალა დევი ბერძნულ მითოლოგიაში; 13. რამე ნაგებობის საწყისი ჩონჩხი; 14. ავეჯის ნაწილი; 15. ლარნაკი; 19. ... ჩელენტანო; 20. საუკეთესო, სრულყოფილი; 21. იტალიური „ნიღბების კომედიის“ მხიარული პერსონაჟი; 22. ტკბილი თხევადი საჭმელი.

**შვეულად:** 1. პატარა ეკლებიანი ცხოველი; 2. ტროპიკული ქარი; 3. რამე საგნის სწავლების წესები; 4. მუქი ლურჯი საღებავი; 6. ნატეხი შაქარი; 8. ავი სული; 11. უცხოეთიდან ჩამოსული მსახიობის ან დასის გამოსვლა; 12. უბედურებებით სავსე ყუთის მფლობელი ქალი ბერძნულ მითოლოგიაში; 16. საგრილობელი; 17. სამოთხე; 18. მზის სისტემის პლანეტა.

*შეადგინა ოლივერ კოხიამ*

